# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№88 (9768) 2024 წლის 29 ივლისი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი


# ჯერაც არ ვიცით, მტერი რამდენია და სად არის ჩასაფრებული?!



აუცილებლად უნდა გაირკვეს ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ შეთქმულება, მისი ლიკვიდაციის მიზნით. მზად ვარ, სასამართლოს და პროკურატურას გადავცე მასალები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთას ადასტურებს...

გოგა ხაინდრავა

3-4

მზადდებოდა ბიძინა ივანიშვილის, „ოცნების“ სხვა ლიდერების მკვლელობა, აფეთქება, ტერორისტული აქტები და ამის მეშვეობით სახელმწიფო გადატრიალება...

მამუკა მდინარაძე



# გიხაროდენ, „ევროპული დემოკრატია“ უკვე წალენჯიხაშია!

## გამორჩეული მეცნიერ-აგრარიკოსი

გურამ ალექსიძე



5

## უბრალოდ, ნაღდი კაცი...



ბესიკ კილასონია

7

## თუ ფული გაქვს, შენი ვარ, თუ არადა, სხვისი ვარ

8





## უცხოეთშიც ქართულ საქმეს აკეთებდა

შოვის ტრაგედიის დროს დაღუპული ზაზა მესხის არქივი ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის დარბაზში დაიდებს ბინას

## კასპიის ზღვა, შავი ზღვა და ევროპა



2

თუკი ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ვგეგმავთ, ჩვენ გვექნება მწვანე ენერგიის კაბელი, რომელიც გაიჭიმება უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან, კასპიის ზღვის, აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის გავლით რუმინეთში — ეს პროექტი იქნებოდა გაზის სამხრეთის დერეფანზე უფრო მსხვილი პროექტი, მაგრამ ჩვენ გვინდა თანამშრომლობა და კოორდინაცია.

ილჰამ ალიევი

## ◎ პარიზი — 2024

## ფრანგული კონტრასტები





დღეს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ გიწვევთ თამაზ წყემალაძისადმი მიძღვნილი „ქართული სულის“ ალგომის პრეზენტაციაზე, დასაწყისი 17 საათზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

## ქართული ჟურნალისტიკის რაინდი





6

# ზელენსკის 2008 წლის „გმირის“ მიხეილ სააკაშვილის ბედი სანატრელი გაუხდება!

როგორც ჩანს, ახლოვდება მომენტი, როცა უკრაინა ვოლოდიმირ ზელენსკის გარეშე გამართავს მოლაპარაკებას რუსეთთან. უკრაინაში ახალი ხელისუფლების მოყვანის ალბათობა სულ უფრო იზრდება და ეს პროცესი დაჩქარდება მაშინ, თუკი დონალდ ტრამპი გაიმარჯვებს ამერიკაში.

ზელენსკის ყოფილი მრჩეველი, დღეს კი მისი ოპონენტი **ალექსეი არესტოვიჩი** ამბობს, რომ ზელენსკი ვერ შეძლებს ვლადიმერ პუტინთან შეთანხმების მიღწევას, უკრაინაში საჭიროა ახალი ხელისუფლება.

**„მე კი ძალიან მინდა ნატოში, მაგრამ იქ ჩვენ არ მიგვიღებენ. ნატოში მიღების ფასი თურმე რუსეთთან ომია, რომელშიც ნატოს გარეშე ჩვენ არაფერი გამოგვივა. მაგრამ ნატოს არ სურს ჩვენი მიღება. ის ვიწრო ნაცრისფერი სივრცე, რომელიც უკრაინას მიგვიჩინეს და გვეუბნებიან, თქვენ ნატოსთვის იბრძვით, მაგრამ ჩვენ არ მიგიღებთო, მე პირადად არ მაწყობს. ჩვენ შეგვიძლია ყველა მუხლში ჩავწეროთ – ნატო, ნატო, ნატო, მაგრამ ეს საერთოდ არაფერს შეცვლის. ეს რეალურად ვაჭრობის საგანია. ზელენსკი ვერ შეძლებს შეთანხმების მიღწევას, რადგან პუტინი მასთან ერთად ხელს არ მოაწერს არანაირ შეთანხმებას. საჭიროა უკრაინაში ახალი ხელისუფლება“**, – აცხადებს არესტოვიჩი და უკრაინის ნეიტრალიტეტში ხედავს ერთადერთ გამოსავალს.

**ცხადია, არესტოვიჩს თავად აქვს საპრეზიდენტო ამბიცია და ამიტომაც აკრიტიკებს უკრაინის მოქმედ პრეზიდენტს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზელენსკის ხელში უკრაინის მძიმე ისტორია დაიწერა და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღეს უკრაინაში იმ ადამიანთა პროცენტული მაჩვენებელი მატულობს, რომლებიც მზად არიან, უკრაინის ტერიტორიების დათმობის ხარჯზე რუსეთთან ომი დაასრულონ.**

**სრულდება თუ არა ზელენსკის ეპოქა უკრაინაში?!**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ უკრაინაში ზელენსკის შემდგომი პერიოდი აუცილებლად დაიწყება, ვინაიდან დმიტრო კულება უკვე ჩავიდა ჩინეთში და გაკეთდა განცხადება რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. ანალიტიკოსის თქმით, ზელენსკის ხანა კი სრულდება, მაგრამ ზელენსკის საკუთარი მეცლის გვრემა აქვს დაწყებული.





**„ზელენსკიმ და მისმა ხროვამ საქართველოდან გაქცეულ „ნაცხროვასთან“ ერთად პასუხი უნდა აგოს უკრაინელი ხალხის წინაშე. ზელენსკის ხროვის ერთ-ერთი წარმომადგენელია არახამია. არახამიამ ასეთი რამ განაცხადა, ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ რუსეთთან გაფორმებული გვქონდა ხელშეკრულება მშვიდობის შესახებ, მაგრამ ჩვენთან ჩამოვიდა ინგლისის პრემიერი ჯონსონი და გვითხრა, გადააგდეთ ეს ხელშეკრულება და იომეთო. ჩვენც გადავაგდეთ სამშვიდობო ხელშეკრულება და ვიომეთო. ამას რომ ხელისუფალი გააკეთებს და იმ დღეში ჩააყენებს ქვეყანას, რომელშიც ჩააყენეს ზელენსკიმ და მისმა ხროვამ, მათ პასუხი უნდა აგონ ხალხისა და ერის წინაშე, ამ შემთხვევაში, უკრაინელი ხალხის წინაშე, რადგან მათ უკრაინელი ხალხი გაყიდეს საერთაშორისო იმპერიალიზმის ინტერესებისთვის. ესენი არიან საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები, რომლებმაც უკრაინული მიწაც გაყიდეს და უკრაინელი ხალხის ხოცვა-ჟლეტით ხელები მოითბეს. ამიტომ ზელენსკის ახლა აზის სიკვდილის ბუზი, ანუ პასუხისმგებლობის ბუზი. დამენახონ ის ექსპერტები და პოლიტიკოსები, რომლებიც ზელენსკის გმირს უწოდებდნენ. სადაა „გმირი“ ზელენსკი, სადაა „გმირი“ პოდოლიაკი? ყველა დაუპირისპირდება ახლა ზელენსკის და დარჩება ზელენსკი „ვით მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებული“**, – აცხადებს ედიშერ გვენეტაძე.

მისივე შეფასებით, მოვლენები ისე ვითარდება, რომ ზელენსკის ჩვენი 2008 წლის „გმირის“ – მიხეილ სააკაშვილის „ვივამედის“ ბედი სანატრელი გაუხდება.

**„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი ლევან ნიკოლეიშვილი** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ უკრაინაში ზელენსკის შემდგომი პერიოდის დადგომა დამოკიდებულია მის პატრონებზე. ანალიტიკოსის აზრით, ზელენსკი არაფერს არ წყვეტს უკრაინაში, მისთვის ახლა მთავარია, შეინარჩუნოს მოპარული ქონება და თავისი სიცოცხლე. თორემ პოლიტიკური ვითარება რომ შეიცვლება, ზელენსკის რას უზამენ, კაცმა არ იცის.

**„რუსეთთან მოლაპარაკებების ერთი მთავარი მიმართულება იქნება, რამენაირად გარანტიები მიიღოს ზელენსკიმ, საზღვარგარეთ წავიდეს და იქ დაასრულოს თავისი ცხოვრება. გამორიცხული არაა, ტრამპის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ზელენსკის, როგორც პრეზიდენტის, პერიოდი დასრულდეს უკრაინაში. ანუ როგორც მისი პატრონები გადაწყვეტენ, ისე იქნება. ფაქტობრივად, ზელენსკი პაიკია. პაიკის ფუნქცია კი ასეთია – პაიკი ან დედოფალი გახდება, ან ჩვეულებრივად კვდება. შეიძლება, ზელენსკი გადაარჩინონ კიდეც და ყველაფერი შეარჩინონ. თუკი მისი პატრონები საჭიროდ ჩათვლიან, რომ ზელენსკი მოლაპარაკების მაგიდას უნდა მიუჯდეს, დასვამენ კიდეც მაგიდასთან. გააჩნია, რა პირობებზე შეთანხმდებიან“**, – აღნიშნა ლევან ნიკოლეიშვილმა.

მისივე აზრით, უკრაინისთვის წამგებიანია, რომ ახლა უკრაინა ითხოვს მოლაპარაკების დაწყებას და არა რუსეთი. ადრე კი რუსეთი ითხოვდა მოლაპარაკებას და ომის შეწყვეტას, თუმცა მაშინ არ წავიდნენ დათმობაზე უკრაინელები და დასავლეთი. თავისთავად ცხადია, რუსეთს ახლა კოზირი უჭირავს და თავის სასარგებლო მოთხოვნებს გააჟღერებს, ხოლო იმ ფიგურებს, ვინც დაჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან, არანაირი მნიშვნელობა არ აქვთ.

**„ამჯერად ის იქნება მთავარი შეთანხმების საკითხი, როგორ გაიყოფენ უკრაინას, რადგან თუკი გარკვეულ ტერიტორიებს არ მისცემენ რუსეთს, რუსეთი არ დათანხმდება ამ მოლაპარაკებას. როგორ მტკივნეულადაც არ უნდა ჟღერდეს, ეს რეალობაა, რუსეთს ახლა მომგებიანი პოზიცია უჭირავს. თანაც, ერთი სული აქვს ყველა გლობალურ მოთამაშეს, აქამდე, რასაც ფარულად ვაჭრობდნენ, ამას უკვე ოფიციალური სახე მისცენ. უამრავი კომპანია ჯერ კიდევ რუსეთშია დარჩენილი და ჩვეულებრივად ფუნქციონირებს სანქციების ფონზე. ესტონეთის ყოფილ პრემიერ კაასს, რომელიც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი გახდა, მასაც რუსეთში ჰქონდა ბიზნესი. ამ დროს ეს ადამიანი ჩვენ გვმოძღვრავს და სისულელეებს ლაპარაკობს, ჩვენთან ამოსაღები ხმა საერთოდ არ აქვს არავის, იმდენად წესიერად ვიმოქმედეთ ამ ომის პერიოდში“**, – დასძინა ლევან ნიკოლეიშვილმა.

მოამზადა
**მანანა ნოზაძე**

# კასპიის ზღვა, შავი ზღვა და ევროპა

## რა პოტენციალი აქვს „მწვანე დერეფნის“ განვითარებას

**შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელი შესაძლოა ახალი, მწვანე დერეფნის შექმნის საფუძველი გახდეს. შავ ზღვაში წყალქვეშა ელექტროხაზის მშენებლობისთვის ტექნიკურ ეკონომიკური კვლევის პარალელურად ირკვევა, რომ აზერბაიჯანი, უზბეკეთი და ყაზახეთი ტრანსკასპიური წყალქვეშა ხაზის მშენებლობის შესაძლებლობებსაც განიხილავენ.**

თუკი ასეთი ელექტროგადამცემი ხაზის აშენება მოხდება, ის ყაზახეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მიერ განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის ევროპაში ტრანსპორტირების ერთიან სისტემას შექმნის.

„ეს იქნებოდა გაზის სამხრეთის დერეფანზე უფრო მსხვილი პროექტი“ – თქვა გასულ კვირას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა შუშაში, მეორე გლობალურ მედიაფორუმზე ერთ-ერთი კითხვის საპასუხოდ და იმ საკმაოდ მასშტაბურ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება, რასაც აზერბაიჯანი განახლებადი ენერგიების ათვისების კუთხით ახორციელებს.

„სულ რამდენიმე თვის წინ ჩვენ უზბეკეთთან და ყაზახეთთან გავაფორმეთ მემორანდუმი, რათა კასპიის ზღვაში წყალქვეშა კაბელის ჩადების შესაძლებლობა შევისწავლოთ. ეს ორივე ქვეყანაც ფლობს ძალიან დიდ პოტენციალს, აწარმოონ ელექტროენერგია განახლებადი წყაროებიდან და ამ კუთხით რამდენიმე პროექტი უკვე განხორციელების ეტაპზეა. ასე რომ, თუკი ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ვგეგმავთ, ჩვენ გვექნება მწვანე ენერგიის კაბელი, რომელიც გაიჭიმება უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან, კასპიის ზღვის, აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის გავლით რუმინეთში – ეს პროექტი იქნებოდა გაზის სამხრეთის დერეფანზე უფრო მსხვილი პროექტი, მაგრამ ჩვენ გვინდა თანამშრომლობა და კოორდინაცია“, – თქვა ილჰამ ალიევმა.

ამ გეგმების რეალურ სივრცეში გადმოტანას მისი მოცულობითი ბიუჯეტები და ტექნიკური სირთულე აფერხებს.

რა პოტენციალი აქვს წყალქვეშა კაბელებით შუა აზია – კასპის ზღვა- აზერბაიჯანი- საქართველო - შავი ზღვა -რუმინეთის ერთიანი გადამცემი ხაზის შექმნას? – კითხვით BMG -იმ ენერგეტიკოს არჩილ მამათელაშვილს მიმართა.

„საუკეთესო შემთხვევაში ამ პროექტების განხორციელებას მინიმუმ 8-10 წელი დასჭირდება“, – ამბობს ენერგეტიკოსი და მაგალითად დანია -ბრიტანეთის მაღალი ძაბვის წყალქვეშა კაბელი მოჰყავს, რომლის განხორციელებას 10 წელი დასჭირდა. ამ კაბელისგან (სიგრძე 770 კმ) განსხვავებით შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი უფრო გრძელია (1200 კმ) და სიღრმეც 3-ჯერ მეტი – „ეს გაართულებს პროექტის მშენებლობას. ეს იქნება უზარმაზარი პროექტი, რომელიც გაგრძელდება მრავალი წელი და დასჭირდება დიდი თანხები. ნამდვილად მილიარდი დოლარი ან მეტი“.

არჩილ მამათელაშვილი თვლის, რომ პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა და კომერციულად მომგებიანობა ტექნიკურ-ეკონომიკურმა კვლევამ უნდა დაადასტუროს. ამ შემთხვევაში დასათვლელია, გაუწევს თუ არა ფასით კონკურენციას წყალქვეშა კაბელით მიწოდებული ელექტროენერგია ევროპაში წარმოებულს.

„აქაც ევროპიდან უნდა იყოს მზაობა, რომ ის ხარჯები, რომელიც ამ პროექტის განხორციელებისთვის იქნება საჭირო, კომერციულად მისაღები იყოს. რთულია რაიმე პროგნოზის გაკეთება, ვიდრე არ მოხდება ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, რა დაჯდება იმ ელექტროენერგიის წარმოება და ტრანსპორტირება, რომელმაც ძვირად ღირებულ წყალქვეშა კაბელში უნდა გაიაროს. ვფიქრობ, ევროპაში იაფი განახლებადი ელექტროენერგიის წარმოება იმდენად იზრდება, რომ ასეთი ტიპის ტრანსპორტირების საშუალებით მიწოდებულ ენერგიას კონკურენციის გაწევის ნაკლები შანსი ექნება“, – ამბობს არჩილ მამათელაშვილი.

მისი თქმით, ამ დროისთვის საქართველოს მთავარი ამოცანა განახლებადი ენერგიის წყაროების მაქსიმალური ათვისება და თურქეთთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან სახმელეთო გადამცემი ხაზების სიმძლავრის გაძლიერებაა. „უნდა მოხდეს არა მხოლოდ სხვისი ენერგიის ტრანზიტი, არამედ საკუთარი წარმოების ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანა“, – მიიჩნევს არჩილ მამათელაშვილი.

მოამზადა
**ნინო ტაბატაძე**



# ჯერაც არ ვიცით, მტერი რამდენია და სად არის ჩასაფრებული?!

## უნდა მოიგოს და მორჩა!..

**საერთოდ, ამერიკის შეერთებული შტატები იღბლიანი ქვეყანაა. ეს ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ გამოიკვირტა ამ მცხუნვარე ივლისში. ქვეყანა საგონებელში იყო ჩავარდნილი, პრეზიდენტი ბაიდენი ნამეტანი დაჩაჩანაკდა, უკვე სიარულიც უჭირს, საჯარო ლაპარაკიც და აზროვნებაც, ტრამპს ნამდვილად ვერ მოუგებს არჩევნებს, რომც მოუგოს, მომავალ ოთხ წელიწადში მტერი იყოს მაგის პრეზიდენტობის იმედადო. ერთი სიტყვით, დემოკრატთა საარჩევნო შტაბში ერთობ დაბნეული ვითარება შეიქმნა, დრო მოვიდა, პრეზიდენტობის კანდიდატი დაესახელებინათ რესპუბლიკელი ტრამპის საპირისპიროდ. რეალური კანდიდატი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი კი აღარ არის ის ჯო ბაიდენი, რომელმაც ოთხი წლის წინათ არჩევნებში მაშინდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დაამარცხა და თეთრი სახლიდან დააპანღურა.**

ახლა ვითარება შეიცვალა. მართალია ტრამპიც გვარიანი ბერიკაცია – 79 წლისა, მაგრამ ჯერ „ფოთლები არ დასცვენია“. ამის მიუხედავად, ალბათ, ბაიდენის საარჩევნო მარათონიდან ჩამოშორების აუცილებლობა არ დადგებოდა, ჯერ საპრეზიდენტო დებატებში რომ არ მოეჭრა თავი, ახლახან კი ტრამპისთვის ვიღაც შეძანებულ ტერორისტს შაშხანის ტყვიით ყური რომ არ გაეხვრიტა და წამებულის გვირგვინი არ დაედგა. ტერორისტულმა თავდასხმამ უმალ ასწია ტრამპის რეიტინგი, რამაც ბაიდენის მხარდამჭერნი აიძულა, შექმნილი რეალიები მხედველობაში მიეღოთ და პრეზიდენტზე ზეწოლა გაეძლიერებინათ – კანდიდატურა მოხსნიო. და, აი, ჯო ბაიდენმა ბოლოს და ბოლოს გამოაცხადა, რომ კენჭისყრას აღარ აპირებს და მხარს დაუჭერს ვიცე-პრეზიდენტის, ფერადკანიანი ქალბატონის კამალა ჰარისის საპრეზიდენტო კანდიდატურას.

მსოფლიო ლიდერებმა ჯო ბაიდენს მადლიერებისა და მხარდაჭერის გზავნილები მიუძღვნეს. ყველა აღნიშნავს, რომ მისი ქცევა პირად ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესების დაყენებას ნიშნავს.

ამ ამბავს ამერიკის პოლიტიკაში მეორე სეისმური ძვრა უწოდეს (პირველი „სეისმური ძვრა“ ტრამპზე თავდასხმა იყო 13 ივლისს).

ერთი სიტყვით, ამერიკელებმა საპრეზიდენტო არჩევნების ნორმალურად ჩატარების საშუალება მოიპოვეს და დამშვიდდნენ.

**ჯერი საქართველოზეა, სადაც არჩევნების ბოლომდე მშვიდობიანად მიყვანა მეორედ მოსვლას უთანაბრდება. ჩვენი ძვირფასი ოპოზიცია სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის ჩაბღაუჭებული ხავსს, რომ მან აუცილებლად, უეჭველად, ნებისმიერ ფასად უნდა მოიგოს არჩევნები!**

**უნდა მოიგოს და მორჩა!**

მობილიზებულია ყველა ძალა, ყველა საშუალება, ყველა წაღმართი და უკუღმართი შესაძლებლობა, ყველა პატიოსანი პოლიტიკური ბრძოლისთვის მისაღები თუ მიუღებელი პიროვნება... აპლომბით აცხადებენ, ნაცმოძრაობას შეუერთდა გიორგი ვაშაძის მძლეთამძლე პარტიაო (რომელიც დამოუკიდებლად ბარიერს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადალახავს!), „ლელო“ წარმოუდგენლად გაძლიერდა – მის რიგებს შეუერთდნენ რევოლუციის მუხამორი ანა დოლიძე, იმავე რევოლუციის ჩამოლაბორანტებული გიგანტი ალეკო ელისაშვილი და მთელი ოპოზიცია სიხარულისაგან ცმუკავს. ძალაუნებურად იფიქრებ, რომ ეს ხალხი (რევოლუციის აბუნტებული ფრთა) ყველაფერზე წავა, ნებისმიერ სისაძაგლეზე.

ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ.

* * *

**ამ დღეებში** სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გვამცნო, რომ მიმდინარეობს გამოძიება უკრაინაში მყოფი საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალი ჩინოვნიკებისა და ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლების ორგანიზებითა და დაფინანსებით საქართველოში დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტებზე. ხსენებული დანაშაულებრივი ქმედებების მიზანია ქვეყანაში არეულობის მოწყობის და ხელისუფლების დასუსტების ფონზე სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა.

საქმეზე მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც ხდება კონკრეტულ პირთა მოწმის სახით გამოკითხვა.

ცნობამ, რომ ტერორისტული აქტი მზადდებოდა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, საზოგადოებაზე მეხის გავარდნის შთაბეჭდილება მოახდინა. ბიძინა ივანიშვილის როლი ქართულ პოლიტიკაში და გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე საყოველთაოდ ცნობილია.

ჩვენი პოლიტიკოსები მიჩვეულნი არიან, ბრმად მიბაძონ დასავლელ თანამოძმეებს, დასავლეთმა კი მხოლოდ წლეულს ქვეყნის უმაღლესი რანგის პოლიტიკოსებზე თავდასხმის უკვე ორი მაგალითი უჩვენა მსოფლიოს: ჯერ იყო და სლოვაკეთის პრეზიდენტ ფიცოს დააჭედეს ტყვია და კინაღამ იმქვეყნად გაისტუმრეს, ახლახან კი ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს გაუხვრიტეს ყური ტყვიით და მისი იღბალი რომ არა, ის ტყვია ყურის ნაცვლად ტვინს გაუხვრეტდა.

ჰოდა, რა გასაკვირია, რა დაუჯერებელია, რომ სამკუთხედი შეეკრათ და ახლა საქართველოში ჩამოესხათ მკვლელის ტყვია. ასე რომ, სულ ტყუილად იჭაჭებიან უზნეო ნაციონალები თინა ბოკუჩავა, ნიკა გვარამია, ანა ნაცვლიშვილი და სხვანი, – არ გვჯერა ოცნებელთა მიერ გაცხადებული ტერორისტული აქტისო.

ასეთ დროს იტყვიან, ვისაც გვჯერა, გაგვატარეთო. თვალის ერთი გადავლებაც კმარა იმის დასანახად, რომ ეს არის საერთო ხელწერა, რომელიც ახასიათებს ერთი და იგივე გლობალისტურ პოლიტიკურ ძალებს.

აქ ერთი საინტერესო მოვლენა იქცევს ყურადღებას. გამოძიების წინასწარი მონაცემებით ირკვევა, რომ დასტურ იგეგმებოდა ბიძინა ივანიშვილის და „ოცნების“ სხვა ლიდერების მკვლელობა, ტერორისტული აფეთქებები და ამის მეშვეობით სახელმწიფო გადატრიალება. ისედაც ხომ არავისთვისაა საიდუმლო, რომ ბიძინა დიდი ხანია სამიზნეზეა. დაკითხვაზე მისული პირები გულმოდგინედ მალავდნენ, რომ სუსში გამოძიება ტერორიზმის მუხლით იყო დაწყებული. ამაზე დუმდნენ ტელევიზიები, პოლიტიკოსები.

ოპოზიციური მედია პირველ დღეს მხოლოდ შეთქმულებაზე ლაპარაკობდა. არადა, წარმოუდგენელია, არ სცოდნოდა, რომ საუბარი იყო ტერორიზმზე. ამ ამბავს საერთოდ რა დამალავდა, მაგრამ დროებით მაინც სცადეს მიჩუმათება. რა თქმა უნდა, არ გამოუვიდათ, შემდეგი ნაბიჯი „არ გვჯერა“ იქნება, არც ეს გამოუვათ, მაგრამ ცდას ხელს რა უშლის?!

* * *

**ამასობაში** პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა სარჩელი შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის გაუქმების მოთხოვნით და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქალბატონი სალომე რაც უფრო კრიჭაში უდგას ხელისუფლებას, რაც უფრო გრძელ ძელს უყრის ბორბლებში, მით უფრო ძვირფასი და საყვარელი ხდება ოპოზიციისთვის, იმდენად, რომ ასეთი მოულოდნელი და უცნაური აზრიც კი დაებადათ: თუ „ოცნება“ პრეზიდენტობის კანდიდატად ბიძინა ივანიშვილს წამოაყენებს(?!), ოპოზიცია მას სალომე ზურაბიშვილს დაუპირისპირებს და უთუოდ გაამარჯვებინებს კიდეცო.

მოდი და რამე გაუგე ჩვენი ოპოზიციის ლოგიკას. გუშინ არ იყო, ამ ქალის პრეზიდენტად არჩევის გამო ცა ფეხად რომ ჩამოიღეს, რა უწმაწურად ლანძღავდნენ და ათრევდნენ?! ახლა კი, რაკი სალომემ საბოლოოდ აიღო თავზე ხელი, მასზე ძვირფასი, მასზე საიმედო ლიდერი არ ჰყავთ!

თუმცა, ამბავი გავაგრძელოთ.

ამრიგად, პრეზიდენტმა ს. ზურაბიშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა, „გამჭვირვალობის კანონი“, როგორც არაკონსტიტუციური, მავნე და უკანონო, გააუქმეთო. როგორც ჩაფიქრებული იყო, მას უმალ მოჰყვა არასამთავრობოებისა და ოპოზიციური პარტიების სარჩელებიც.

ირაკლი კობახიძის თქმით, ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში პოლიტპარტიები და ენჯეოები ერთმანეთს ძალიან შეერწყნენ, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ქართულ პოლიტიკაში ტრიალებს „შავი ფული“, „დამალული ფული“, რაც აუცილებლად უნდა გასაჯაროვდეს საზოგადოებისათვის და რომ ამიტომაც იყო აუცილებელი გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღება.

აქ კიდევ ერთი რამეც არის საყურადღებო: პრეზიდენტმა თავისი სარჩელით აღიარა საკონსტიტუციო სასამართლოს ლეგიტიმაცია, იმ სარჩელის ლეგიტიმაცია, რომელიც რამდენიმე თვის წინათ ხატზე გადასცა, როცა ამ სასამართლომ იგი კონსტიტუციის დამრღვევად ცნო.

**ამრიგად, მომავალი არჩევნები დღეს ისე ჰკიდია ქვეყნის თავზე, როგორც ოდესღაც დიდგორი ეკიდა საქართველოს ბედზე. ოღონდ დავით IV დიდმა, აღმაშენებელმა ისე ჩამოკაფა ეს უზარმაზარი საშიშროება, რომ ქვეყანას ერთი ბზარი არ გასჩენია. 903 წელი გავიდა და ახალი დიდი საფრთხე დგას ქვეყნის წინაშე, რა თქმა უნდა, არა იმ ძალისა და მნიშვნელობისა (მიახლოებითაც კი!), მაგრამ მაინც უაღრესად საშიში, რადგან არ იცი, მტერი რამდენია, ვინ არის, სად და როგორ არის ჩასაფრებული, მოყვარე მართლა მოყვარეა თუ მტერი, შინაური რა ხაფანგს გიგებს და ვის მოუძღვის ქვეყნისთვის ყელის გამოსაჭრელად.**

აი, ამას წინათ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა მეთიუ მილერმა მომავალ არჩევნებში რუსეთის შესაძლო ჩარევაზე მიგვანიშნა და საქართველოს მოსახლეობის არჩევანის დაცვაზე მღელვარედ ისაუბრა.

ამის პასუხად საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, ჩარევა ყველამ შეიძლება მოინდომოს, რუსეთმაც და სხვამაც, ყველას თავისი ინტერესი აქვს ჩვენნაირ პატარა და მოწყვლად ქვეყანაში, სადაც უამრავი აგენტია, რუბლითა თუ დოლარით დაფინანსებული. ჩვენ ჩვენი მხრიდან, ყველა ჩარევას ვიცილებთ, ფაქტობრივად, საკუთარი შვილების ინტერესებს ვწირავთ, რისკის ქვეშ ვაყენებთ სხვისი შვილებისთვისო...

* * *

**ამდენი** უამური ამბის შემდეგ, ერთი სასიხარულო ცნობა! ლევან ხაბეიშვილი, ჩვენი ხაბე, დაკარგული რომ გვეგონა ნაცების პარტიის თავმჯდომარეობიდან დაქნევის შემდეგ, გამოჩნდა! თავადვე დადო ფეისბუქგვერდზე ამერიკაში გადაღებული ფოტო: ისე ლაღად მოაბიჯებს ზურგჩანთით, თითქოს თუშეთში იყოს. თურმე ამერიკაშია ძალების აღსადგენად, რათა აგვისტოს ბოლოდან აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკურ პროცესებში.

აგვისტოს ბოლომდე გაძლება არ გვინდა?! დააჩქარე, ლევან, იწამე ღმერთი, თორემ გვეღუპება ქვეყანა!





**მომავალი არჩევნები დღეს ისე ჰკიდია ქვეყნის თავზე, როგორც ოდესღაც დიდგორი ეკიდა საქართველოს ბედზე. ოღონდ დავით IV დიდმა, აღმაშენებელმა ისე ჩამოკაფა ეს უზარმაზარი საშიშროება, რომ ქვეყანას ერთი ბზარი არ გასჩენია. 903 წელი გავიდა და ახალი დიდი საფრთხე დგას ქვეყნის წინაშე, რა თქმა უნდა, არა იმ ძალისა და მნიშვნელობისა (მიახლოებითაც კი!), მაგრამ მაინც უაღრესად საშიში, რადგან არ იცი, მტერი რამდენია, ვინ არის, სად და როგორ არის ჩასაფრებული, მოყვარე მართლა მოყვარეა თუ მტერი, შინაური რა ხაფანგს გიგებს და ვის მოუძღვის ქვეყნისთვის ყელის გამოსაჭრელად.**

**ალეკო ასლანიშვილი**

# გიხაროდენ, „ევროპული დემოკრატია“ უკვე ნალენჯიხაშია!

**მგონი, უკვე შეგვიძლია ღრმად ამოვისუნთქოთ და ნანატრ სიმართლეს თვალი გავუსწოროთ — საქართველო აშშ-ის თანასწორი და ღირსეული პარტნიორია! უბრალოდ, არის ერთი პატარა განსხვავება — ამერიკა საქართველოზე ასჯერ უფრო დიდი ქვეყანაა და იქაური მოქალაქე მის ქართველ კოლეგაზე მინიმუმ ათჯერ უფრო შეძლებულია! ჯერჯერობით, პატიმრების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებლებითაც გვისწრებენ, მაგრამ დაველოდოთ კარს მომდგარ არჩევნებს — მოვლენ, ბატონო, ხელისუფლებაში მიშას ნაცები და, როგორც დაგვპირდნენ, ჩვენი კეთილმოწყობილი ციხეები „ახალი სახეებით“ გადაიჭედება.**

გასული კვირის განმავლობაში აშშ-ზე ასჯერ პატარა ქვეყანაში ჩადენილია რვა განზრახ მკვლელობა! ამ მონაცემებით, აშშ კი არა, გასული საუკუნის 60-იანი წლების კოლუმბია თუ გაგვეჯიბრება. მართალია, ამერიკელებმა ახლახან პრეზიდენტობის კანდიდატ დონალდ ტრამპის მოკვლა სცადეს, მაგრამ საქართველოში დაიწყო მასშტაბური გამოძიება ბიძინა ივანიშვილზე ტერაქტის მომზადების საქმეზე. გავბედავ და შეგახსენებთ, რომ ბატონი ივანიშვილი საქართველოსთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფიგურაა, ვიდრე ერთად აღებული ტრამპი, ბაიდენი, კამალა ჰარისი და პრეზიდენტობის ყველა დანარჩენი შესაძლო კანდიდატი აშშ-სთვის!

სრული მოულოდნელობა გახლდათ არა თავად ტერაქტის მზადების ფაქტი, არამედ ამ საქმეზე საქართველოს უშიშროების სამსახურის მიერ ერთ-ერთი გამოკითხულის ადვოკატის, მიხეილ რამიშვილის საჯარო განცხადება, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირი სუს-ში ბიძინა ივანიშვილზე შესაძლო თავდასხმის თაობაზე გამოკითხესო!

ბუნებრივია, ადვოკატის ამ გასაკვირი გულახდილობის შემდეგ „დამალობანას“ თამაშმა აზრი დაკარგა და ქართული საინფორმაციო საშუალებები დაგეგმილი ტერაქტის შესახებ ვარაუდებით გადაიჭედა.

რახან საინფორმაციო საშუალებები ვახსენე, იმედია, არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ ოპოზიციური მედია კატეგორიულად უარყოფს ტერორისტული თავდასხმის შესაძლებლობას და ამას, კორექტულად რომ ვთქვა, „ოცნების“ წინასაარჩევნო აგიტაციის ნაწილად მიიჩნევს. ხელისუფლების წარმომადგენლების, მაგალითად, **მამუკა მდინარაძის** განცხადებით, **„მზადდებოდა ბიძინა ივანიშვილის, „ოცნების“ სხვა ლიდერების მკვლელობა, აფეთქება, ტერორისტული აქტები და ამის მეშვეობით სახელმწიფო გადატრიალება... ბიძინა ივანიშვილზე თავდასხმის მცდელობა ეს უკვე ყველა ნიშნულს სცდება“.**

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** აზრით, **„ეს (ტერაქტის მომზადება, თ.ქ.) სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან გარედან მართვადი ოპოზიცია, რომელმაც ამოწურა პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები, გადავიდა მათთვის მშობლიურ და მრავალგზის ნაცად მეთოდებზე — ტერორზე!“**

როგორც მოსალოდნელი იყო, ივანიშვილზე შესაძლო თავდასხმის გახმაურებამ უახლოესი წარსულის გადახედვის აუცილებლობაზე მსჯელობაც გამოიწვია. ყოფილი პოლიტიკოსისა და მოქმედი პოპულარული ჟურნალისტის, **გოგა ხაინდრავას** საჯარო განცხადებით, **„აუცილებლად უნდა გაირკვეს ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ შეთქმულება, მისი ლიკვიდაციის მიზნით. მზად ვარ, სასამართლოს და პროკურატურას გადავცე მასალები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთას ადასტურებს. სამი სხვადასხვა წყაროს ცნობით, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა მან შეუკვეთა“.**



აქვე შეგახსენებთ, რომ დღემდე ბურუსითაა მოცული საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მოულოდნელი გარდაცვალება 2005 წლის თებერვალში.

**საქართველოს მოქალაქეებს დღემდე მწარედ ახსოვთ პირადად სააკაშვილის მიერ ორგანიზებული ბადრი პატარკაციშვილის, მისი ოჯახის შემაძრწუნებელი მასშტაბის „დევნის ოპერაცია“, მისი „განკულაკების“ მცდელობა, საქართველოდან გაძევება, მაშინდელი უსაფრთხოების თანამშრომლების მიერ დადგმული სამარცხვინო ქუჩური სპექტაკლი კოდური სახელწოდებით „ბადრის რა? - დედის ტ-ნა!“... დაბოლოს, ბადრი პატარკაციშვილის მოულოდნელი და დღემდე საიდუმლოებით მოცული გარდაცვალება.**

საქმესთან დაკავშირებით, თავისი აზრი საჯაროდ გამოთქვა ხელისუფლების თითქმის ყველა „ცნობადმა სახემ“. მათი თქმით, საქართველოში დაგეგმილი ტერაქტების, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის უკან საერთაშორისო პოლიტიკის მართვაზე პრეტენზიის მქონე საიდუმლო ძალა უნდა იდგეს.



დღევანდელი საქართველო სააკაშვილის დროინდელისგან პრინციპულად განსხვავებული ქვეყანაა. იგულისხმება არამარტო ეკონომიკური წინსვლა, არამედ პოლიტიკური და მმართველობითი სისტემების მდგრადობა. ეს ნიშნავს, რომ დღევანდელ ვითარებაში ნებისმიერი პოლიტიკური პერსონის, თუნდაც ბიძინა ივანიშვილის (ღმერთმა დაიფაროს!), ლიკვიდაცია საყოველთაო ეიფორიის, მით უფრო, ხელისუფლების რადიკალური ცვლილების საწინდრად ნამდვილად ვერ გამოდგება. ეს იქნება პირადი ანგარიშსწორება პოლიტიკური ოპონენტისადმი და მეტი არაფერი. ამის შესახებ უკვე ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ - გაცილებით უფრო დიდი აჟიოტაჟის, თვით უმართავი ვითარების შექმნა შეუძლია ვინმე თუნდაც არაფრისმაქნის ოპოზიციონერ „ლიდერზე“ თავდასხმას. ვფიქრობ, ხელისუფლების უპირველესი ამოცანაც არჩევნების წინა პერიოდში ოპოზიციონერებისგან ოპოზიციის „ლიდერების“ დაცვა უნდა იქცეს.

გასულ კვირას, საერთოდ, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამწვავდა ჩვენი „უფროსი“ მეგობრებისა და,

**ბატონი ივანიშვილი საქართველოსთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფიგურაა, ვიდრე ერთად აღებული ტრამპი, ბაიდენი, კამალა ჰარისი და პრეზიდენტობის ყველა დანარჩენი შესაძლო კანდიდატი აშშ-სთვის!**

ოფიციალური განცხადება გააკეთა უშიშროების სამსახურმაც: „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იძიებს უკრაინაში მყოფი, საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნებისა და ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლების ორგანიზებით და დაფინანსებით, საქართველოში დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის, პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტებს“.

**ბუნებრივია, ამ განცხადებებს კატეგორიულად (ალბათ, აჯობებდა გამომეყენებინა ტერმინი „ცინიკურად“) არ ეთანხმებიან ოპოზიციის წარმომადგენლები. მაგალითად, ქალბატონ თეონა აქუბარდიას აზრით, „სუს-ის სცენარი გადატრიალების შესახებ უცვლელია! საგულისხმოა „ოცნების“ პროპაგანდა „გლობალური ომის პარტიასთან“ დაკავშირებით, რითაც ისინი დასავლეთის მტრობაზე აკეთებენ აქცენტს. ფაქტი ერთია — მშვიდობა მოაქვს ევროპულ ოჯახში გაერთიანებას, სადაც ომები არ არის, ხოლო ნგრევა და უბედურება — რუსეთს, რომელზეც აკეთებს ფსონს „ქართული ოცნება“.**

ღმერთმა დამიფაროს, აქუბარდიას და სხვა გენიალური პოლიტიკოსების კრიტიკას როგორ გავბედავ, მაგრამ ისიც ხომ სიმართლეა, რომ ჯერ კიდევ გუშინ მთელი ოპოზიციური სპექტრი ქალბატონი პრეზიდენტის თამადობით, საქართველოში „რუსული ხელისუფლების“ დამხობაზე, სახელმწიფო გადატრიალების აუცილებლობაზე ლაპარაკობდა. ამ მიზნით, გულუბრყვილო ახალგაზრდების გამოყენებაც სცადეს! თუმცა, ეს იქით იყოს — მინდა, აგრესიული ოპოზიციის და, რაც მთავარია, ხელისუფლების გასაგონად სხვა რამე ვთქვა.

შესაბამისად, ოპოზიციის დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლების მიერ პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტისაკენ მისწრაფების გამო. ჯერ ქართველი „ევროპელების“ მოსაზრებები გავიხსენოთ.

„კოალიცია ინფორმაცია სანდოობისთვის“ წევრი ორგანიზაციის ISFED-ის აღმასრულებელი დირექტორის **ნინო დოლიძის** განცხადებით, **„ქვეყნისთვის უდიდეს გამოწვევად რჩება ანტიდასავლური რიტორიკა, გაუტარებელი რეფორმები, რომელიც ნათლად არის გაწერილი 9-პუნქტიან სამოქმედო გეგმაში და ე. წ. „რუსული კანონი“, რომელიც ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს. სწორედ ამ მიზეზების გამო, ვერ გაიხსნა საქართველოსთან ევროკავშირის წევრობის შესახებ მოლაპარაკებები, როცა ამ კუთხით უკრაინა და მოლდოვა მნიშვნელოვნად დაწინაურდნენ“.**

„კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის“ თავმჯდომარის **გიორგი მელაშვილის** განმარტებით, **„ქართველმა ხალხმა უნდა მოითხოვოს ევროპულ კურსზე დაბრუნება და ყველა იმ რეფორმის გატარება, რომელიც საქართველოს ევროინტეგრაციისთვისაა საჭირო. ამ მომენტისათვის, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება შეჩერებულია. მთავრობამ უნდა შეასრულოს აუცილებელი რეფორმები და შეწყვიტოს ანტიდასავლური რიტორიკა.“**

ჩვენი ოკეანისგაღმელი უანგარო მეგობრების მუქარა-განცხადებებიც ვნახოთ და თუ არ დაგვეზარება, იქნებ ჩვენი ყოვლად პატრიოტი ოპოზიციონერების მოსაზრებებსაც შევუდაროთ.

მაშ ასე, კონგრესმენი **ჯო უილსონი**: **„მადლიერი ვარ, რომ (შესაძლებლობა მომეცა) თქვენთვის წარმომედგინა ორპარტიული „მეგობარი აქტი“, რათა „ქართული ოცნების“ პარტია ქართველი ხალხის ნებაზე თავდასხმებში მემხილებინა. ახლა ის ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ემუქრება, რათა წვლილი შეიტანოს წარუმატებელი იმპერიის აღდგენაში“.**

კონგრესმენი **უილიამ კიტინგი**: **„საქართველოს მთავრობის ქმედებები პასუხის გარეშე არ დარჩება. „ქართული ოცნება“ ჩინეთთან სავაჭრო შეთანხმებასა და ვიზალიბერალიზაციის რეჟიმს აქებს. პეკინი აქტიურად უჭერს მხარს რუსეთის აგრესიულ ომს უკრაინაში. კრემლი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციას. „ქართული ოცნების“ მთავრობა შეთანხმებებს აფორმებს მათთან, ვინც საქართველოს ოკუპანტს უჭერს მხარს. სამწუხაროდ, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერისა და კონსტიტუციური ვალდებულებების მიუხედავად, მმართველი პარტია ევრო-ატლანტიკურ გზას აცდა. „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო კრემლის მიერ შთაგონებული „უცხოური აგენტების“ კანონი სამოქალაქო საზოგადოებასა და გამოხატვის თავისუფლებაზე ზეწოლისთვის. მივმართავ საქართველოს მთავრობას: თქვენი ქმედებები პასუხის გარეშე არ დარჩება. მაისში სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო სავიზო შეზღუდვების პირველი ტრანში ოფიციალურ პირებსა და, რაც მნიშვნელოვანია, მათ ოჯახის წევრებზე. სანამ საქართველოს მთავრობა დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას ფეხქვეშ თელავს, ეჭვი არ მეპარება, რომ (აშშ-ის) ადმინისტრაცია გააგრძელებს სავიზო შეზღუდვებსა და ფინანსურ სანქციებს“.**

კონგრესმენი **ტომ კინი**: **„ბოლო წლებში „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო დასავლელ პარტნიორებზე თავდასხმები, რუსეთსა და ჩინეთთან ახლო ურთიერთობების ძიება. „უცხოური აგენტების“ კანონის მიღებით საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობები შეწყდა და ეს ქმედებები ქართველი ხალხისთვის სახეში შეფურთხებაა. „უცხოური აგენტების“ კანონპროექტზე საუბრების დროს „ქართული ოცნების“ ლიდერი (ბიძინა ივანიშვილი) თავის გამოსვლაში „სასტიკი შურისძიებით“ დაემუქრა პოლიტიკურ ოპონენტებს, რაც კარგად შეესაბამებოდა უხეირო დიქტატორს და არა აშშ-ის ახლო პარტნიორს. მოუთმენლად ველი, თუ როგორ უპასუხებს ქართველი ხალხი მთავრობის ასეთ ქმედებებს ოქტომბერში, კრიტიკულად მნიშვნელოვან საპარლამენტო არჩევნებზე“.**

სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე **ჯოშუა ჰაკი**: **„საქართველოს მთავრობა მკვეთრად უხვევს ქვეყნის დემოკრატიული ტრაექტორიიდან, „უცხოური გავლენების“ კანონი კი ანტიდემოკრატიული გადახვევის სიმბოლოა. საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო არადემოკრატიული კანონები, მოახდინა სამოქალაქო საზოგადოების დემონიზება, დაიწყო დეზინფორმაცია და რიტორიკული თავდასხმები აშშ-სა და ევროპელი პარტნიორების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს ათწლეულების განმავლობაში უჭერდნენ მხარს“.**

გაგრძელება მე-8 გვერდზე

**„აუცილებლად უნდა გაირკვეს ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ შეთქმულება, მისი ლიკვიდაციის მიზნით. მზად ვარ, სასამართლოს და პროკურატურას გადავცე მასალები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთას ადასტურებს. სამი სხვადასხვა წყაროს ცნობით, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა მან შეუკვეთა“.**

# გამოჩენილი მეცნიერ–აგრარიკოსი

## გურამ ალექსიძე




**მიმდინარე წლის 30 ივლისს, დაბადებიდან 85 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელი უსრულდება გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს გურამ ალექსიძეს.**

გურამ ალექსიძე დაიბადა 1939 წელს ქ. თელავში ცნობილი მეცნიერ-აგრარიკოსის, პროფესორ ნიკოლოზ ალექსიძის ოჯახში, 1957 წელს დაამთავრა თბილისის 31-ე საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, აგრონომიულ ფაკულტეტზე, მცენარეთა დაცვის განხრით, რომელიც 1962 წელს წარჩინებით დაამთავრა. ამავე წელს სწავლა გააგრძელა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში; 1966 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1976 წელს – სადოქტორო დისერტაცია საკავშირო მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში (ქ. ლენინგრადი) და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1989 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მას მიანიჭა პროფესორის წოდება, 1992 წელს არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 2018 წელს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემის აკადემიკოსად.

13 წლის განმავლობაში ბატონი გურამი მუშაობდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევით ინსტიტუტში, 1973 წლიდან გადაყვანილი იქნა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში, ჯერ ლაბორატორიის ხელმძღვანელად, ხოლო 1974 წლიდან დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. ბატონი გურამი აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებაში და მის შემდგომ განვითარებაში, ჯერ როგორც აკადემიის წევრი და მემცენარეობის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. შემდეგ კი 1995 წლიდან 2004 წლამდე იყო აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, 2004 წლიდან ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 2013 წლიდან 2023 წლამდე აკადემიის პრეზიდენტი. 2023 წელს იგი კვლავ არჩეულია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

ბატონი გურამი 1983-1987 წლებში ექსპერტის პოზიციაზე მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში, უზრუნველყოფდა კავშირებს სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის (სურსათის უვნებლობის საკითხებში) სამინისტროებთან, აგრეთვე რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რისთვისაც მას მიღებული აქვს ელჩის ოფიციალური მადლობები.

**აკადემიკოს გურამ ალექსიძის შრომებში ნათლადაა ასახული ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კულტურებში ფართოდ გავრცელებული მავნებლების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. საქართველოსა და საზღვარგარეთ ავტორის მიერ 240-ზე მეტ გამოქვეყნებულ ნაშრომში, მათ შორის 17 წიგნსა, მრავალ ბროშურასა და სტატიაში, განხილულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტეგრირებული დაცვის სისტემების დამუშავება და ამ სისტემებში მავნე ორგანიზმების გამრავლება-გავრცელების პროგნოზირების ფენოლოგიური და მათემატიკური მეთოდების გამოყენება, დასაბუთებულია მცენარეთა დაცვის განვითარების თანამედროვე და სამომავლო გზები და ეს დაფუძნებულია ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებების ძიება-გამოყენებაზე.**

მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის მეთოდების შერჩევისას მეცნიერი უპირატესობას აძლევს ბიოსისტემების მათემატიკური მოდელირების თეორიულ პრინციპებს, რომელთა დამუშავებისთვის გამოყენებულია კომპიუტერული სისტემები. მათი გამოყენებით დადგენილი და გაანალიზებული აქვს მავნე და სასარგებლო მწერებს შორის ოპტიმალური ფარდობები ხეხილის და ტყის ბიოცენოზებში, რომელთა პრაქტიკულ გამოყენებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდის თვალსაზრისით, რაც თავისთავად გარემოს დაცვის გლობალური პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი გზაა.

ბატონმა გურამმა როგორც მეცნიერმა თავისი პირველივე ნაშრომებიდანვე ყურადღება გაამახვილა პესტიციდების ღრმად გააზრებულ, გონივრულ გამოყენებაზე. მან განსაზღვრა პესტიციდების შედარებითი ტოქსიკურობა ხეხილის, ვაზის, სუბტროპიკული კულტურების, ბოსტნეული და მარცვლოვანი კულტურების და სხვათა მიმართ. ამავე დროს, შეისწავლა ამ სახეობების ძირითადი მარეგულირებელი ფაქტორები (ენტომოფაგები) და დაადგინა მათზე პესტიციდების უარყოფითი მოქმედება. შეარჩია გარემოსთვის ნაკლებად ტოქსიკური პრეპარატები და მათი კონცენტრაციები, რომლებიც წარმატებით იქნა გამოყენებული ბრძოლის ინტეგრირებულ ღონისძიებებში. მის მიერ პირველად იქნა დამუშავებული პესტიციდების შეფასება სელექციურობის კოეფიციენტების შერჩევის მეთოდით, რაც საშუალებას იძლევა შევარჩიოთ ბიოცენოზისთვის ნაკლებად საშიში პრეპარატები.

**მისი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება მავნე ორგანიზმების ფენოპროგნოზირების საკითხებს, რომელიც ძირითადი საფუძველია მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის წარმართვის საქმეში. ფენოპროგნოზირება მან სწორად დაუკავშირა არა მარტო მავნე მწერების, არამედ მათი ბუნებრივი მტრების აგროცენოზში გამოჩენის ოპტიმალურ პერიოდებს, რითაც მინიმუმამდე დაიყვანება მათი უარყოფითი მოქმედება სასარგებლო ფაუნაზე.**

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ავტორის პროფესიულ მიდგომას ორიგინალური ბიოლოგიური, ბიოტექნიკური და ტოქსიკოლოგიური კვლევების მეთოდების გამოყენებაში და მათ წარმართვას ერთი მიზნისკენ – მავნე სახეობების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებაში, მათი გარემოზე ნაკლებად უარყოფითი მოქმედების გათვალისწინებით.

პრიორიტეტულია მეცნიერის კვლევა, რომელიც შეისწავლის მცენარეთა დაცვაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების საკითხებს. მავნებლებისა და მისი ბუნებრივი მტრების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლას მათემატიკური მოდელირების გზით და მათ შორის ოპტიმალური ფარდობების დადგენის, ფიტოპლაზმური დაავადებების გადამტანი ჭიჭინობელას პროგნოზირების სტატისტიკურ მეთოდებს, რითაც დადასტურდა მისი გავრცელების შესაძლებლობა აღმოსავლეთ საქართველოში, დაავადების გადამტანის სტერილიზაციის საკითხებს მავნებლების ფენოპროგნოზირებას აგროცენოზებში და მათ დროში განაწილებას, სუბტროპიკული კულტურების მავნებლების და მათი ენტომოფაგების შესწავლას და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საკარანტინო სახეობების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებების დამუშავება და უცხოეთიდან შემოყვანილი სასარგებლო მწერების აკლიმატიზაცია ჩვენს პირობებში.

გ. ალექსიძის მეცნიერული კვლევები საფუძვლად დაედო მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებების დამუშავებას, რომლებიც ფართოდაა რეკომენდებული ჩვენი ქვეყნის ხეხილის, სუბტროპიკული კულტურების ბაღებში, ვენახებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებში, რაც ითვალისწინებს მანამდე ფართოდ გამოყენებულ მაღალტოქსიკური პესტიციდების მნიშვნელოვან შემცირებას, ადგილობრივი და ინტროდუცირებული ბიოლოგიური საშუალებების ხვედრითი წილის გაზრდას საერთო ფიტოსანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტის მომცემია.

მეცნიერის ათამდე ნაშრომი ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში მცენარეთა დაცვის არსებული მდგომარეობის შესწავლას, მათი გამოყენების შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში. ეს სამუშაოები მისი აშშ-ში მივლინების პერიოდში იქნა შესრულებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ ამ ქვეყნიდან რამდენიმეჯერ ინტროდუცირებული კოლორადოს ხოჭოს ბუნებრივი მტრები; ციტრუსოვანი კულტურების სანერგეების ბაქტერიული დაავადების სუფთა კულტურის შემოტანა ჩვენს ქვეყანაში კვლევითი ღონისძიებების ჩასატარებლად; მარცვლეული კულტურების მავნებლების წინააღმდეგ გემით ტრანსპორტირების პერიოდში ფოსფინის ტიპის ფუმიგანტების დანერგვა, იმპორტირებული მარცვლეულის ფიტოსანიტარიული და კარანტინული უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების გატარება და სხვა.

**აკად. გ. ალექსიძის მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება ეხება გამოყენებითი ბიოლოგიის მნიშვნელოვან სფეროს – მავნე ორგანიზმებისგან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ინტეგრირებულ დაცვას, რომელიც შეისწავლის მავნე სახეობების ბიოეკოლოგიას, მათ მავნეობას აგრობიოცენოზებში, მავნე და სასარგებლო მწერების ურთიერთდამოკიდებულებას მათემატიკური მოდელირების გამოყენებით; მავნე სახეობების პროგნოზირებას; მათ წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმალური ღონისძიებების დამუშავებას, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აქტუალურ პრობლემებთან და გარემოს დაცვის გლობალური საკითხების გადაწყვეტასთან. ეს შრომები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალებში, ისინი ამ დარგის სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი და საყოველთაო აღიარებით სარგებლობენ.**

**ბატონი გურამი არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებებთან ინტეგრირებულ დაცვის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, მისი ხელმძღვანელობით და ავტორობით დღესაც მიმდინარეობს მუშაობა აგროცენოზებში გავრცელებული ბიოსისტემების შესწავლაზე.**

აკადემიკოსი გ. ალექსიძე არჩეულია ლატვიის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის აკადემიის უცხოელ წევრად (2022 წლიდან), წლების განმავლობაში იყო ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის (UEAA) ჯერ ვიცე-პრეზიდენტი (2018-2020 წ.წ.), შემდეგ პრეზიდენტი (2020-2022 წ.წ), ფაო-ს ტროპიკული სოფლის მეურნეობის პროგრამის (TAP) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2015-2016 წ.წ.); აგრარული კვლევების საერთაშორისო კონსორციუმის (CGIAR) სამეთვალყურეო საბჭოს და ფონდის საბჭოს წევრი (2015-2016 წ.წ.). 2015 წლიდან არის ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის (CACAARI) თავმჯდომარე, 2008 წლიდანაა „ქართული ენციკლოპედიის" აგრარული კომისიის თავმჯდომარე, 2013 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკოლოგიური კომისიის წევრი და „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის" კომისიის თავმჯდომარე; არის ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ეროვნული კოორდინატორი საქართველოში (2003-2012 წ.წ.) და ამ პროგრამის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; ამერიკის ენტომოლოგიური და ფიტოპათოლოგიური საზოგადოების წევრი (1983-1987 წწ) და სხვა.

აკადემიკოსი გ.ალექსიძე დაჯილდოებულია „ღირსების" ორდენით, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციის „მშრალი რეგიონების სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის" (ICARDA) „ვერცხლის დიდი მედლით" (2005, 2008 წლებში) საერთაშორისო კვლევებში შეტანილი წვლილისათვის და სხვ.

ბატონი გურამი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა თაობის მეცნიერთა და სპეციალისტთა აღზრდას, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი კითხულობს ლექციებს მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის საკითხებზე. ბატონი გურამის ხელმძღვანელობით დაცულია 20-ზე მეტი სადოქტორო დისერტაცია, მათ შორის იყვნენ უცხოელი სპეციალისტებიც.

აკადემიკოსი გ.ალექსიძე ტრადიციული ქართული ოჯახის მამაა, ჰყავს მეუღლე, შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილი.

გამოვხატავთ რა განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას ბატონი გურამის მიმართ, გულითადად ვულოცავთ მას, როგორც ღირსეულ მოქალაქესა და გამოჩენილ მეცნიერს, დაბადების – 85, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.**




# ნიჭიერებით მადლცხებული ქართული ჟურნალისტიკის რაინდი

**დღეს 75 წლისა გახდებოდა ჩვენი თაობის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული პიროვნება, ცნობილი ჟურნალისტი და ლიტერატორი, პუბლიცისტი და პედაგოგი, ქართული ტელევიზიის 80-იანი წლების ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციის მთავარი რედაქტორი და საავტორო გადაცემების სულისჩამდგმელი, დაუვიწყარი ტელეწამყვანი და რეპორტიორი, „ახალი ქართული გაზეთის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, ბოლოს კი, უბრალოდ, დიდებული მწერალი და ქართული ლექსის სწორუპოვარი დეკლამატორი თამაზ ტყემალაძე.**

ორიოდ წლის წინათ ეს საყოველთაო ქართველი, მეგობართათვის „მარტოდენ გული და ბაჯაღლო პატიოსნება,“ კოვიდის ეპიდემიამ იმსხვერპლა...

განისვენებს საზოგადო მოღვაწეთა მახათას პანთეონში.

შარშან თამაზ ტყემალაძის მეგობრებმა მიხეილ ლოლაძემ, იუზა და თემურ ტყემალაძეებმა, გურამ მახოშვილმა, ელდარ და მალხაზ ნადირაძეებმა, ემზარ ხითარიშვილმა და ზურაბ ჩხაიძემ ცნობილი ჟურნალისტების ია დანელიასა და ზურაბ ლოლაძის კოორდინაციით შეაგროვეს და გამოსცეს თამაზ ტყემალაძის ნაწერების ორტომეული, რომელსაც ერთ-ერთი გამორჩეული წერილის სახელი ჰქვია – „შეხვედრა მზის დისკოში“.

ორტომეულში შესული ლიტერატურული წერილები, მემუარები, მხატვრულ-ისტორიული ქრონიკები უზადო, ჯავარიანი ქართულით დაწერილი პუბლიცისტიკაა. წიგნების თემატიკა ისევე მრავალფეროვანია, როგორიც თამაზ ტყემალაძის ჟურნალისტური და ლიტერატურული ცნობიერება – გემოვნება.

გაგაოცებთ ავტორის სითამამე, პრინციპულობა და სულიერი სიმაღლე.

თამაზის „სიმაღლეზე“ შესანიშნავად წერს ორტომეულის წინასიტყვაობის ავტორი, ჩვენი ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი:

„თამაზ ტყემალაძე მრავალმხრივ განათლებული პიროვნება იყო, მაგრამ მის ინტელექტუალურ სახეს ორი რამ, ორი ნიშანი მაინც განსაკუთრებით გამოარჩევდა. ეს გახლდათ ქართული პოეზიისა და მე-19 საუკუნის ისტორიის ცოდნა. ამ ორ სფეროში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ისე საუბრობდა გრიგოლ ორბელიანზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე (გალაკტიონი კიდევ სხვა ფენომენი იყო მისთვის), გეგონებოდა, უშუალო მომსწრე იყო იმ ეპოქალური მოვლენებისა, რომლებიც ამ დიდ სახელებს უკავშირდება“...

გამოცემის რედაქტორები არიან ყველასთვის კარგად ცნობილი მწერლები და ლიტერატურათმცოდნეები ანდრო ბედუკაძე და გიორგი ალიბეგაშვილი.

ორტომეულის საუცხოო დიზაინის ავტორია ბესიკ დანელია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელ მადლობას უხდის თამაზ ტყემალაძის მეუღლეს, ჟურნალისტ მარინა დამენიას და შვილს დავით ტყემალაძეს როგორც ამ უიშვიათესი კრებულების მთავარ შემოქმედთ, მასალების ასე გემოვნებით შერჩევისა და კორექტირებისთვის.

დღეს ჩვენს მკითხველს, მართლაც საოცრად მონატრებული თამაზის დიდი სამეგობროს (ჯერაც რომ უყვართ კითხვა), ვთავაზობთ ერთ-ერთ ნარკვევს ორტომეულიდან, რომელიც ცნობილ მსახიობს, ნორმიდან ამოვარდნილ ტალანტს გია ფერაძეს და მის უცნაურ ბედ-იღბალს ეხება.

ამ ერთ სევდიან ნარკვევშიც კარგად ჩანს, თუ ვინ იყო უფლისმიერი ნიჭიერებით გამორჩეული თამაზ ტყემალაძე.

**სპარტაკ ქობულია**

# თბილისმა იცოდა ასე...

**ათას მოხდენილ და მოქნილი გონების ყმაწვილკაცში ქალაქი ერთს განსაკუთრებით გამოარჩევდა და საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოაქცევდა. მერე ყოველდღე ახალ-ახალი ჭორ-მართალი ვრცელდებოდა: ამან ასე იხუმრა, ასეთი სიტყვა თქვა, ასეთი ცირკი მოაწყოო. ეს პოპულარული და მოხდენილი ყმაწვილები საბოლოოდ ბახუსის მორევში რჩებოდნენ და ძალზე ადრე ამთავრებდნენ თავიანთი „გამორჩეული“ ცხოვრების გზას.**

ასეთი გახლდათ 70-იანი წლებიდან ყველა თბილისელისთვის კარგად ცნობილი გია ფერაძე!

ოჯახი ასეთი ჰქონდა: დედა – ახლახან გარდაცვლილი ქალბატონი თინა ჟორჟოლიანი, ცნობილი ქართველი მსახიობის, ალექსანდრე ჟორჟოლიანის ძმისშვილი, თვითონაც მშვენიერი იუმორისტი.

მამა – ბიძინა ფერაძე, ცნობილი პედაგოგი, განათლების დამსახურებული მუშაკი. 30 წელზე მეტი გავიდა მისი გარდაცვალებიდან და დღესაც, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი გაკვეთილი ან დასწრებია მისი თამადობით ჩატარებულ სუფრას, დიდი სიყვარულით იგონებს მის არაჩვეულებრივ პედაგოგიურ და ვაჟკაცურ ნიჭს. იგი სკოლაში ინგლისურს ასწავლიდა და მასთან ერთად ყველასათვის კაცობისა და კაცთმოყვარეობის ნათელი მაგალითი იყო. ბევრმა არც კი იცის, რომ ბატონი ბიძინა გახლავთ ავტორი თბილისის ყველა დროის ყველაზე პოპულარული სიმღერისა „ყვავილების ქვეყანა“.

ძმა – ილია ფერაძე. ინჟინერი. სპორტსა და მეგობრობაზე შეყვარებული კაცი. ნამდვილი თბილისელი „ადმირალი“...

დიახ, ოჯახი წიგნიერი, ლაღი იუმორით მადლცხებული, სტუმართმოყვარე.

გიას პოპულარობას დიდად უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ იშვიათი გარეგნობის ყმაწვილი, თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლეობიდანვე გახდა ქართული ფილმების გმირი. მერე კი თეატრალური ინსტიტუტი, რომელსაც სახელოვანი რუსთაველის თეატრის



დასში მიღება მოჰყვა და მსოფლიოს დიდი ქალაქების გასტროლებით შემოვლა. აქაც ათასი ფათერაკი, ათასი კომიკური ისტორია...

**გია ფერაძე თბილისის იშვიათ კოლორიტად იქცა, რაც ასე ახალგაზრდას მანამდე ერთი-ორს თუ ღირსებია. თბილისში მისი მოძრაობის სქემა ძალზე პატარა იყო, მაგრამ საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოქცეული: ვერა-რუსთაველი-ვერა!**

ვერაზე დაიბადა, ვერაზე დაამთავრა სკოლა და მეგობართა უმრავლესობაც ვერელი ჰყავდა. დიდხანს თამაშობდა ფეხბურთს ვერის უბნის გუნდში. მერე, როდესაც ყრუ დილეგში ერთადერთ შვებად ლექსის წერა ექცა, უნებურად ვერა გახდა მისი ხან ბავშვური და ხანაც ჭეშმარიტი პოეზიის მადლით აღსავსე ლექსების მთავარი ხატი. ძალზე ბევრ ლექსში შეხვდებით თბილისის ამ გამორჩეულ უბანს, ძველ თუ ახალ ვერელებს. ყველაზე პოპულარული კი გახლავთ რუსუდან სეფისკვერაძის და გოგი დოლიძის ნიჭიერებით დამშვენებული გიას „ვერა“.

**„თბილისში ყველა პატარა უბანს**
**თავისი წილი უნდა სიმღერა,**
**მარტო თბილისში თუ შეიძლება,**
**იყოს უბანი, იყოს უბანი**
**და ერქვას „ვერა“.**
**ვერაზე ჩემმა ლაღმა ბავშვობამ**
**გადაიქროლა და ახლაც მიჰქრის,**
**ვერაა ჩემი სულის სიმშვიდე,**
**ვერაზე არის, ვერაზე არის**
**ადგილი ფიქრის...**

გია ფერაძემ 40-მდე ფილმში ითამაშა. ყველგან, როლის სიდიდის მიუხედავად, მკაფიო დაუვიწყარი სახე შექმნა. მაშინაც კი, როდესაც მისი ნათქვამის ბევრს აღარ სჯეროდა, იგი უშუალობით და გულწრფელობით ასახიერებდა როლებს და ეს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ძალზე ბუნებრივად ხდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კინორეჟისორ დიმა ბათიაშვილის ფილმში („არასერიოზული კაცი“) ნათამაშევი მთავარი გმირის ნიკოს ნაღდი თბილისური ტიპი – ალალი და მართალი, გზააბნეული და უნებისყოფო, სულ მოუსვენარი. ფილმის გმირის ტრაგიკული ბედი თითქმის მიესადაგა გიასას. ამ ფილმში ნაბახუსევი, წვერგაუპარსავი, სულ რაღაცის მაძიებელი, ყველასთვის ცნობილი და შინაურად გამხდარი გია თითქოს ნიკოს კი არა, თავის თავს, გია ფერაძეს, განასახიერებს. შემდეგი იყო მძაფრი, დრამატული როლი რეჟისორ გიორგი შენგელაიას ფილმში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, რომლის ეკრანზე გამოსვლას ვეღარ მოესწრო... გაუთვალისწინებელმა სავალალო ქმედებამ ტრაგედიის მორევში ჩაძირა იგი. მაშინ ის იყო, გონების თვალს ახელდა მისი შვილი პატარა მარიკა, რომელმაც ამ ტრაგედიით დედაც დაკარგა და მამაც!

გია ციხის ბინადარი გახდა...

ამის შემდეგ თეატრისა და კინოს პოპულარულ მსახიობს 7 წელიწადი მოქალაქეობის პატივი აქვს აყრილი. მომხდარი საშინელებით მორალურად განადგურებულს, ფიზიკური განადგურებაც მიესაჯა.

ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე ცრემლითა და ნაღველით ნაწერი მისი ლექსები სწორედ უსასოდქმნილის მოთქმით გვიამბობენ თეატრალური საზოგადოებიდან, მშვენიერი სამეგობროდან ციხის ჯურღმულში მოხვედრილი კაცის ენით უთქმელ გასაჭირზე; ტირილით გვიამბობენ გიასა და ირინას უიღბლო სიყვარულზე და... ხშირად მოდის უბედური ახალგაზრდა ქალის ცისფერი ლანდის ჩვენებაც, რაც ტუსაღის მხოლოდ უსაზღვრო ტანჯვას იწვევს. იგი გრძნობს თავის უნებლიე დანაშაულის დაუძლეველ სიმძიმეს და მხოლოდ თავის სიკვდილში ხედავს შვებას. იგი შვებას მაშინაც ვერ გრძნობს, როდესაც ბავშვურად გამოხატავს დედის მონატრებას. იმდენია ასეთი ლექსი, იმდენს ელაპარაკება სიცივით, თუ სიცხის ხორშაკით შეჭირვებული პატიმარი დედას, რომ გეგონებათ, მასთან ერთად იხდიდა მძიმე სასჯელს თინა ჟორჟოლიანიც – და ეს ასეც გახლდათ.

კითხულობ ციხის ლექსებს და შენც ამ მყრალი კარცერისა თუ ჩახუთული საერთო საკნის ბინადარი ხდები. თითქოს შენც ჭლექით შეჭმული ფილტვებით სუნთქავ ათასი ბინთით გაჯერებულ ჰაერს. შენც ასე გტანჯავს უმზეობა, ზაფხულში – დამდაგველი სიცხე, ზამთარში კი – ნესტი და ყინვა. ტრამალის ქარი დაგყმუის თავზე და ციხის დაჟანგულ თუნუქის სახურავს ახმაურებს. თითქოს შენც გელანდება ღია ცაში ლაღად მფრინავი ჩიტები და შორს მოციმციმე თბილისი. დროდადრო შენც აქოთებულ „ეტაპზე“ გსვამენ, გამცილებელთა მხოლოდ ხმები ისმის და იწყება თვეობით რკინის რელსებზე მოჯაყჯაყე რკინის მოძრავი ციხის ენით აუწერელი ტანჯვა. ასე გადის წლები და ჭლექით სნეული პატიმარი შველას ითხოვს... იგრძნობა, რომ მან უკვე ბევრჯერ განიცადა სულიერი კვდომა. ხორციელად კი თავის მიწა-წყალზე, თავის თბილისში სურს, სიკვდილს შეხვდეს და არა ამ უსახურ ციმბირის ტრამალებში.

**გია ფერაძეს ციხის ბინადრობამდე ორიოდე ლექსი ჰქონდა დაწერილი. მრავალი ოჯახი დღესაც ინახავს წვეულების დროს ხელ-**

სახოცებსა და ფურცლის ნაგლეჯე-ბზე დაწერილ სხარტულებს. ზოგს მღეროდნენ კიდეც და როდესაც ღვთის რისხვა დაატყდა თავს, როდესაც მისი მოხეტიალე სული, დაუდგრომელი სხეული რკინა-ბეტონის ოთხ კედელში გამოიკეტა, სხვა რა ექნა... ციხის სამყარო გიას ლექსებში რამდენიმე, მაგრამ დიდი შთაბეჭდილების მომხ-დენი ლექსით აისახა. დროდადრო ფრანსუა ვიიონისეზური სარკაზმებით (სამწუხაროდ, ასე მშვენივრად გად-მოქართულებული ეს წიგნი მისთვის უცნობია. თ.ტ.) ციხე თავისი მუდ-მივი ბინადრებით – ქურდებით, ბან-დიტებით, შემთხვევითი ტიპებით, მამათმავლებით, „ჩამშვებებით“. ამ ფონზე უსათუოდ განწმენდის, სული-ერი კათარზისის ფუნქცია ეკისრება შვილებზე დაწერილ უამრავ ლექსს. განსაკუთრებით კი ობლად შთენილ პატარა მარიკაზე. პატიმარი მამა აღსარებას ეუბნება შვილს, რომ მას ძალიან უყვარდა მარიკას დედა, რომ რაც მოხდა, ეს დემონის აღ-ზევება იყო, რომ მამა მკვლელი კი არა, საწუთროს წიხლით გათელილი კაცია. და ითხოვს, რომ სამართალი მხოლოდ და მხოლოდ მან დაადგი-ნოს. 9 აპრილის ტრაგედიას იაკუტიის ციხეში გაიგებს. მერე მრავალ ლექსში მოთქვამს პატიმარი და ოცნებობს, ისიც საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მოკლან.

სხვადასხვა ციხეში სასჯელის მოხ-დისას გია ფერაძეს ასობით ლექსი დაუწერია. უთარგმნია ესენინის ლე-ქსები... რომელთა ნაწილი პრიმიტი-ულია, ბავშვურიც კი.

მაგრამ მაინც ყველგან ჩანს სტრიქონი, რომელშიც ასევე მარ-ტივი პოეტური ხატი თუ ნათელი ესთეტიკური მოდელი მიგიზიდავს. თავს დაგამახსოვრებს. უცებ ჩნდება სულ სხვა განზომილების ლექსები: მოქნილი, სრულყოფილი რითმით, შინაგანი მუსიკით, მძაფრი პოეტური სახეებით. უნებურად დაგებადებათ აზრი, რომ ეს არათანაბარი, უთანას-წორო ქაოსური ლექსებიც მის უილბლო პატრონს ჰგავს. ვერც ეს ლექსები თავსდება ერთ ჩარჩოში. მკითხველის შეხედულებაც არათანაბარი იქნება, მაგრამ ვერავინ აუვლის გვერდს ერთ გზას – ეს არის ნამდვილად ნიჭიერებით მადლცხებული, ვარამით გულგამოხრული კაცის ლექსები!

გიას ლექსების უმრავლესობა მის-ივე ნახატებით ბოლოვდება. უბრალო „პასტით“ პირდაპირ ლექსის ფურცელ-ზე მიხატული სხვადასხვაგვარად აღ-საქმელი პასაჟები: მარიკა, ყვავილები, საჰაერო ბუშტები, ეკლესია, მაცხ-ოვარი, ღვთისმშობელი (ვისაც სულ ევედრება... ვისაც სთხოვს შველას). უფრო მეტია კოშმარული ჩვენებები, დემონური სახეები, წვალება, ტანჯვა, უცებ საფლავი, ასე უცნაურად მშვიდი და მიმზიდველი...

საინტერესოა სასჯელის მოხდის შემდეგ დაწერილი ორიოდ ლექსიც. განსაკუთრებით კი ბოლო, რომელშიც ტრაგიკული, „არასერიოზული კაცის“ აღსარების ხმა ისმის და ჩვენთვის საცნაური ხდება, რომ... აღარ ისურვა გია ფერაძემ სიცოცხლე, „სიკვდილი ძალით მოიახლოვა“.

**იმედი გვაქვს პოეზიის მცოდ-ნე და მოყვარული ქართველი მკითხველისა! უნდა გავითავისოთ ამ უბედური და ნიჭიერი კაცის სევდა და ვარამი, ახლა მაინც გავუგოთ, შევეწიოთ და გვერ-დით დავუდგეთ პატარა წიგნში მოთავსებულ გიას ფიქრებს, გიას ცრემლს, გიას...**

**თამაზ ტყემალაძე**

# უბრალოდ, ნაღდი კაცი, მეგობართა იმედი!..

## ბესარიონ კილასონია — მედიცინისა და ისტორიის „ცოცხალი ენციკლოპედია“



**კაცი რომ ტატო ბარათაშვილის ცხოვრების დეტალებით დაინტერესდება და მისი ბიოგრაფიის უცნობი ფურცლების კვლევას დაიწყებს, დიახაც იმსახურებს გამორჩეულ პატივისცემას, მაგრამ როცა შემთხვევით გაცნობისას შეიტყობ, რომ სულ სხვა დარგის აღიარებული პროფესიონალია, მისადმი ცნობისმოყვარეობა გაცილებით იზრდება.**

ჰოდა, ჩვენც ვისარგებლეთ შესაძლებლობით და, რომ იტყვიან, ძვირფას თანამოსაუბრეს – ბესარიონ კილასონიას „გაზით ამოვაცალეთ“ სადარბაზო ბარათის შესავსებად საჭირო აუცილებელი მონაცემები, მით უმეტეს მაშინ, როცა საამისო საბაბიც სულ სხვა წყაროებიდან მოგვეცა.

მაშ ასე – **ექიმი, სამართლისმცოდნე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბესარიონ კილასონია ნახევარ საუკუნეზე მეტია ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ მოღვაწეობას სასამართლო მედიცინასა და პათოლოგიურ ანატომიაში. წლების განმავლობაში გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი სასწავლო დარგში.**




სამედიცინო განათლების რეფორმატორი 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. 1998 წლიდან არის საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სასამართლო ასოციაციის პრეზიდენტი.

მისი პრაქტიკულ-სამეცნიერო ნაშრომი „სასამართლო მედიცინა“ რამდენჯერმე გამოიცა და ამ დარგის სპეციალისტთა სამაგიდო წიგნად გადაიქცა.

როცა პროფესიულ არჩევანზე დავუსვით კითხვა, რატომღაც გვეგონა, რომ მედიკოსთა დინასტიის ღირსეული წევრი ბრძანდებოდა, მაგრამ შევცდით – როგორც მამა, ისე ძმა თურმე ჩვენი კოლეგები, ჟურნალისტები ყოფილან. კერძოდ, ბატონი ნიკოლოზ კილასონია სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა მაშინდელ პრესაში, ხოლო ბატონმა ლევან კილასონიამ ტელევიზიით ჩვენი სამშობლოს გაეროში გაწევრება გვაუწყა.

მოგეხსენებათ, მაშინ სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობა სიმაღლეზე ხტომაში ტრიუმფის ტოლფას მოვლენას წარმოადგენდა – განაგრძობს ჩვენი სტუმარი. მართალია, იმავე პერიოდში ბუხუტი დარახველიძის ცნობილ ანსამბლშიც ვცეკვავდი, მაგრამ ერთი ლექციაც კი არ გამიცდენია!..

მეამაყება, რომ სტუდენტობის შემდეგ პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე ჩემი ხელმძღვანელები იყვნენ აღიარებული მეცნიერები – აკადემიკოსი ვლადიმერ ჟღენტი, აკადემიკოსი ირაკლი ტატიშვილი, პროფესორი თამარ დეკანოსიძე და პროფესორი ლუარსაბ შარაშიძე. იქვე დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია, პათოლოგიური ანატომიის დარგს კი, როგორც მოგეხსენებათ, მედიცინის მამას უწოდებენ.

ბუნებრივია, ექსპრომტ-დიალოგის დროს ფესვებსაც შევეხეთ და აღმოჩნდა, რომ კილასონიების გვარის ერთადერთ აზნაურთა შტოს ფუძე ამბროლაურის რაიონის სოფელ კვაცხუთს უკავშირდება.

მოკლედ, უკვე მერამდენედ მტკიცდება, რომ ყველაზე სწრაფები მსოფლიოში რაჭიდან მოდიან...

თანამედროვე სამედიცინო-ბიოლოგიურ მიღწევათა ზედმიწევნით მცოდნე, სასამართლო მედიცინის ექსპერტი, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ისტორიის ტრფიალი სამეგობრო წრემ „ცოცხალ ენციკლოპედიად“ მონათლა, საოცარი მეხსიერების მქონე საყვარელი ლექტორის მიმზიდველი ლექციები კი ათასობით მომავალ ექიმს დღემდე ახსოვს ისევე, როგორც აქამდე დიდი ინტერესით ისმინება მისი ტელეაუდიტორიისათვის წაკითხული ლექციები ტელეკომპანია „პულსზე“.

**ჩვენი გაზეთის რედაქცია უღრმესი პატივისცემით უერთდება პროფესორ ბესარიონ კილასონიას დიდ სამეგობრო წრეს და განსაკუთრებული სიყვარულით ულოცავს მას დაბადების დღეს.**

**მრავალჟამიერ, ჩვენო ღირსეულო თანამედროვევ!**

# ზრუნვა პაციენტის საუკეთესო ინტერესებისთვის

**რუხის რესპუბლიკურმა საავადმყოფომ, ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივის შესაბამისად, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის პრეპარატების კლინიკაში უზრუნველყოფა უკვე დაიწყო. ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.**

სამედიცინო დაწესებულებაში ჯანდაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე იმყოფებოდა, სადაც ახალი სქემის შესახებ, ექიმებისა და პაციენტების მოსაზრებები მოისმინა.

ქიმიოთერაპიის განყოფილება კლინიკაში რამდენიმე თვეა ფუნქციონირებს და პაციენტებს მაღალი სტანდარტის სამედიცინო მომსახურებას აწვდის.

მიხეილ სარჯველაძემ, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად, რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოს სხვა განყოფილებებიც დაათვალიერა და სამედიცინო პერსონალს შეხვდა. მინისტრმა ყურადღება კლინიკის განვითარების გეგმებზე და სამედიცინო სერვისების გაფართოების მნიშვნელობაზე გაამახვილა.

მიხეილ სარჯველაძემ აღნიშნა, რომ სამინისტრო აგრძელებს ზრუნვას პაციენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სერვისების მიღების გამარტივების მიმართულებით და როგორც ფინანსური, ისე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის.



# საცალო ვაჭრობასაც ლიდერები სჭირდება!

**უკვე მეორე წელია, Majid Al Futtaim Retail ახორციელებს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ახალი კურსდამთავრებულების 18-თვიან გადამზადების პროგრამას რვა ქვეყანაში. გასულ წელს პროექტში მონაწილეობა მიიღო 71 კანდიდატმა. წელს პროგრამა გაფართოვდა, რაც გაცილებით მეტ ახალგაზრდას მისცემს საშუალებას ჩაერთონ პროექტში. პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის აღზრდას და მომავალი ლიდერების განვითარებას საცალო ინდუსტრიაში.**

**Majid Al Futtaim Retail**-მა, რომელიც „კარფურის“ ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში, ოფიციალურად დაიწყო „**Retail Graduate**“ პროგრამის მეორე ნაკადისთვის განაცხადების მიღება, რომელიც გაგრძელდება 2024 წლის 31 აგვისტომდე, ხოლო შერჩეული კანდიდატები 2024 წლის 1 ოქტომბრიდან ჩაერთვებიან პროგრამაში.

აღნიშნული პროგრამა ხორციელდება 8 ქვეყანაში სადაც ოპერირებს **Majid Al Futtaim Retail**, ეს ქვეყნებია: ლიბანი, კატარი და საუდის არაბეთი, გარდა აქამდე არსებული ქვეყნებისა: ეგვიპტე, საქართველო, კენია, პაკისტანი და არაბთა გაერთიანებული საამიროები.

18-თვიანი პროგრამა ახალ კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება დინამიკურ საცალო ინდუსტრიაში. სამი ექვსთვიანი როტაციის საშუალებით მონაწილეები შეისწავლიან სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის საცალო გაყიდვების ბიზნესის მართვა, მაღაზიის საოპერაციო პროცესები, ელექტრონული კომერცია, ხარისხის მართვა და მომხმარებელთა მომსახურება.

პროგრამის დაწყებასთან დაკავშირებით ბ-ნმა ჟერომ აკელმა, „კარფურ საქართველოს“ გენერალურმა დირექტორმა, აღნიშნა: „**Retail Graduate** პროგრამის მიზანია აღვზარდოთ მომავალი საცალო ვაჭრობის ლიდერები, რაც ასახავს ჩვენს ხედვას „შევქმნათ საუკეთესო მომენტები ყველასთვის, ყოველდღე.“ ჩვენი გამოცდილების გაზიარებით და მენტორობით ისინი შეიძენენ ახალ კომპეტენციებს, რაც დაეხმარებათ გაუმკლავდნენ დღევანდელ დინამიკურ ბიზნესგარემოში არსებულ გამოწვევებს, დაამოტივირონ თანამშრომლები და დანერგონ მომხმარებლის გამოცდილებაზე ორიენტირებული კულტურა. მოხარულები ვართ, მივესალმოთ ახალ, ნიჭიერ თაობას, რომელიც შექმნის საცალო ვაჭრობის მომავალს“.

დაინტერესებულ კანდიდატებს შეუძლიათ განაცხადები წარმოადგინონ 2024 წლის 31 აგვისტომდე. ეწვიეთ ბმულს

**https://www.interpressnews.ge/ka/admin_palitra/articles/article/add/careers.majidalfuttaim.com/go/Graduate-and-Internship-Programmes/3197801/**

# გიხაროდენ, „ევროპული დემოკრატია“ უკვე წალენჯიხაშია!

მეოთხე გვერდიდან

მგონია, დასაფიქრებლად და დასკვნების გამოსატანად საკმარისი უნდა იყოს.

* * *

**შეიძლება** ითქვას, რომ გასული კვირის ყველაზე დიდი საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია ნატოს ბრალდებამ ჩინეთისადმი, რომ ეს ქვეყანა მხარს უჭერს რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში. კერძოდ, ალიანსის 32-მა ქვეყანამ ჩინეთს ოფიციალურად მოსთხოვა, დაუყოვნებლივ **„შეწყვიტოს**



**რუსეთის ომის ყოველგვარი მატერიალური და პოლიტიკური მხარდაჭერა“.** ბუნებრივია, ამან უკიდურესად გააღიზიანა ჩინეთის ხელისუფლება. ეს აისახა კიდეც ნატოსადმი მის პასუხში. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ლინ ჯიანის განცხადებით, პეკინი ნატოს ბრალდებებს მტკიცედ უარყოფს და მიიჩნევს, რომ ისინი „მიკერძოებული, ცილისმწამებლური და პროვოკაციულია“. მანვე ჩვენთვის ასე სანატრელ ალიანსს „ცივი ომის გადმონაშთი“ უწოდა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ჩინეთის მისიის განცხადება ევროკავშირში, რომ მას არასოდეს მიუწოდებია ლეტალური იარაღი არცერთი მეომარი მხარისთვის. **ხოლო ნატო ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე აგრძელებს აშშ-ის მიერ შეთხზული სიცრუის გავრცელებას, ჩინეთის ღიად შეურაცხყოფას, თესავს უთანხმოებას ჩინეთსა და ევროპას შორის და ძირს უთხრის ჩინეთ-ევროპის თანამშრომლობას.** ხოლო რაც შეეხება რუსეთთან ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობას, იგი არ უნდა შეფერხდეს და ამერიკული მხარის მოთხოვნების მიუხედავად, არც შეფერხდება.

იმედია, ასეც იქნება. მით უფრო, ნაცმოძრაობისა და პირადად თინა ბოკუჩავას ჩინეთისადმი დამოკიდებულება ბოლო დროს სარძნობლად შერბილდა. სამაგიეროდ, კვლავ ძველებურად კატეგორიული დარჩა ზურაბ ჭიაბერაშვილის ფილოსოფია. რამე რომ არ შემეშალოს, მისი აზრის პირდაპირ ციტირებას შემოგთავაზებთ: **„ჩვენ ვიცით, რომ დონალდ ტრამპის მნიშვნელოვანი პროგრამული ნაწილი და მთავარი ამოცანა არის ჩინეთის გავლენების შეკავება მთელს მსოფლიოში და როგორ წარმოგვიდგენია, „ქართულმა ოცნებამ“ როგორ უნდა დაალაგოს ურთიერთობა ტრამპის ადმინისტრაციასთან, თუ იგი გახდება პრეზიდენტი. როგორ დაალაგებს მასთან ურთიერთობას, როდესაც, პრაქტიკულად, ჩინეთის მიერ საქართველოს ეკონომიკურად გადაყლაპვის პროცესს ვხედავთ“.**

ისღა დაგვრჩენია, როგორმე მშვიდი გონებით გავაანალიზოთ და ერთმანეთს შევუდაროთ ჩვენი დიდი ამერიკელი მეგობრებისა და მათი თანამოაზრე ქართველი ოპოპოლიტიკოსების ნააზრევები. იმედია, დასკვნების გამოტანა არ გაგვიჭირდება.

რაც შეეხება ნატო-უკრაინის ურთიერთობას, ალბათ საინტერესო იქნება ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტის დიმიტრი გორდონის განცხადება. მისი აზრით, უკრაინის




ნატოში გაწევრიანება გამორიცხულია, ვინაიდან ამ ქვეყნის კანონმდებლობა და ცრუ რეფორმები არ შეესაბამება ალიანსის სტანდარტებს. გარდა ამისა, უკრაინა საომარ მდგომარეობაშია რუსეთთან და ვერ აკონტროლებს თავის ტერიტორიას.

* * *

**ეს ამბავი ბოლოსთვის შეგნებულად შემოვინახე – ვიცი, ძალიან გაგახარებთ: სამეგრელოში, კერძოდ, წალენჯიხაში, დიდი ნაცპოლიტიკოსის თინა ბოკუჩავას ინიციატივით „დემოკრატიის ფესტივალი“ ჩატარდა. მედიაში გავრცელდა ქალბატონი თინას განცხადება: „დემოკრატიის ფესტივალის“ სწორედ აქ, წალენჯიხაში, სამეგრელოში ჩატარება ძალიან სიმბოლურია და მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება ერთიანობა. მაშინ, როდესაც ივანიშვილის პარტია ქადაგებს დაპირისპირებას, ჩვენ ვხედავთ, რომ ერთიანობით, მათ შორის სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ვართ ხალხთან, ვართ საქართველოს მოქალაქეებთან და ვმსჯელობთ იმაზე, თუ როგორ გადავარჩინოთ დემოკრატია და ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი“.**

მოკლედ, საქმე მოსალოცად გვაქვს – ევროპული კულტურა და დემოკრატია თინა ბოკუჩავას მეთაურობით უკვე სამეგრელოშია!



**თეიმურაზ ქორიძე**
28. 07. 2024

# თუ ფული გაქვს, შენი ვარ, თუ არადა, სხვისი ვარ

**მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და წარსულს გაატანეს ყველა ის შეურაცხყოფა, რაც ერთმანეთს აკადრეს. დაივიწყეს ისიც, რომ ჯერ კიდევ 2021 წელს, რომ არა „ღამის კურიერის“ წამყვანთა ჩართულობა, ერთმანეთის საცემრად იწევდნენ... ასეთი დაპირისპირების მიუხედავად, პოლიტიკური სენსაცია შედგა – ალეკო ელისაშვილი „ლელოში“ შევიდა და „ლელოს“, ანა დოლიძის, „თავისუფლების მოედნის“ გაერთიანებას შეუერთდა. ყველასთვის მოულოდნელად მემარცხენე ელისაშვილი მემარჯვენე მამუკა ხაზარაძის კომპანიონი გახდა.**

იყო დრო, როცა ხაზარაძე ელისაშვილს ლამის კეთროვნად მოიაზრებდა და მიმართავდა: **„ჩვენს გვერდით არ გაიარო, მატყუარა ხალხთან საქმე არ გვაქვს“.**

ელისაშვილიც ხაზარაძეს უბრუნებდა ხურდას: **„ბანკირებისგან და ხალხის მყვლეფავებისგან რა უნდა გაგვიკვირდეს“. „ახლა შეგიყვარდა ქვეყანა? სანამ დაჭერის პრობლემა არ შეგექმნა, მანამ არ გაგახსენდა ქვეყანა“, „ხალხს ხოცავდნენ გლდანის ციხეში, ძვლებში ამტვრევდნენ, მაშინ შენ იდექი და კრედიტებს უფორმებდი ფეხებით ჩამოკიდებულ ხალხს“.**

ეს იყო წარსულში, დღეს კი „მე და ალეკომ ხელი ჩამოვართვით. როცა ქვეყანას სჭირდება, პირადი დამოკიდებულება მეორეხარისხოვანია. რაც შეეხება მისი პარტიის შემოერთებას, ეს იქნება მსჯელობის საგანი“, – აცხადებს მამუკა ხაზარაძე და ელისაშვილთან ერთად გადაღებულ ფოტოს აქვეყნებს.

ელისაშვილ-ხაზარაძის გაერთიანებას, პოლიტიკურად ვერამტან ადამიანთა იძულებით ერთობად მიიჩნევს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **ირაკლი ქადაგიშვილი** და თვლის, რომ ასეთი ერთობა ქართველი ხალხისთვის კარგის მომტანი არ იქნება.



პრემიერი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ხაზარაძე-ელისაშვილი ერთმანეთს ლანძღავდნენ უშვერი სიტყვებით, ახლა კი მორალური ზღვარი გადალახეს, რადგან დამოუკიდებელნი არ არიან საკუთარ გადაწყვეტილებებში და ასრულებენ დაკვეთას, დავალებას.“

იაგო ხვიჩიას აზრით, ელისაშვილ-ხაზარაძის გაერთიანება ან პრინციპულობაა, ან ბევრი ფულის ამბავია. არსებობს ხალხი, ვისაც ეჭვი აქვს, ყველაფერი დიდი ფულის გამო ხდება.

ანალიტიკოს **გია აბაშიძის** აზრით, ადვილად წარმოსადგენია, უზნეობის რა ჭაობში არიან ასეთი ფსევდოპოლიტიკოსები და პოლიტიკანი ჯამბაზები, რომ თუნდაც გარე დაკვეთა რომ იყოს, ხელისუფლებაში მოსვლის შანსის გამოყენების ჟინით შეპყრობილნი აკეთებენ იმაზე უარესს, ვიდრე ნებისმიერი მეძავი გააკეთებდა.

**„არ მომერიდება ამ სიტყვის თქმა, ეს არის პოლიტიკური მეძავობა, არაკაცობა და არაადამიანობა. თანაც, იმ პერსონაჟების მხრიდან, რომელთაც არანაირი რეიტინგი არ აქვთ საზოგადოებაში. სირცხვილია ალეკო ელისაშვილის პატრიოტობაზე, მამულიშვილობაზე ლაპარაკი, ხაზარაძე ხომ საერთოდ ჩამოწერილია. მე მგონი, ხაზარაძემ გადაუსწრო გოკერიას და ნაცრეჟიმის სხვა წარმომადგენლებს ტოტალურ ანტიპათიაში, რაც ქართველ საზოგადოებას მის მიმართ გააჩნია მისივე საფინანსო პოლიტიკური შარლატანობიდან გამომდინარე“,** – აღნიშნა გია აბაშიძემ.

ანალიტიკოსის აზრით, ლოგიკურად რომ შევხედოთ, რა მიზიდულობის ძალა უნდა არსებობდეს ალეკო ელისაშვილის მხრიდან „ლელოს“ ლიდერის მიმართ, რომელსაც სამი წლის წინ უშვერი სიტყვებით დამსახურებულად აგინა?! აქ რიტორიკული შეკითხვა ისმის, რა საერთო აქვს ელისაშვილს ხაზარაძესთან?! ხაზარაძე მოიაზრება, როგორც ფულის მქონე ურეიტინგო პოლიტიკოსი, რომელმაც წინა არჩევნებზე, (ადგილობრივზეც და საპარლამენტოზეც), მსხვილ ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით ყველაზე მეტი ფული გაიღო და ყველაზე ნაკლები პოლიტიკური დივიდენდი მიიღო არჩევით ორგანოებში.

**„ასე რომ, რა აზრი აქვს ასეთი ურთიერთგანსხვავებულის გაერთიანებას? ფულის გარდა, შეიძლება ეს იყოს უძრავი ქონების ინტერესი, შეიძლება იყოს სხვა აქციაც, მაგრამ ყველაზე მთავარია, სინდისს და ნამუსსაც ასე უტიფრად არ გადააბიჯო. პოლიტტექნოლოგიურად მათ არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რადგან 5%-იან ბარიერს „ლელო“ და ეს პოლიტიკური ხარახურა ვერ გადალახავს. ამიტომ ხაზარაძე ისევ დახარჯავს უაზროდ ფულს, ისევ წამოვა უაზრო ბრალდებები არჩევნების გაყალბებაზე. ისე, საინტერესოა, მამუკა ხაზარაძეს თუ ასე აქვს პრემიერად გახდომის ჟინი ოპოზიციურ ფლანგზე, დაუთმოს კი ის ამ ამბიციას ასეთივე პოლიტიკურ ფუტლარ და ჯამბაზ გიორგი ვაშაძეს?! ესეც საკითხავია, ამ გათითოკაცებულ პარტიებსა და კანტორებში ყველას სურს პრემიერობა, მაგრამ 5%-იან ბარიერს ასი ათას ხმაზე მეტი სჭირდება და ამას ვერც ერთი ეს პოლიტიკური სუბიექტი ვერ გადალახავს“,** – დასძინა გია აბაშიძემ.

მოამზადა
**მარიამ ლოლაშვილმა**

# „ნაციონალურ მოძრაობაში“ დიდი არეულობაა...



**„ნაციონალურ მოძრაობაში“ დიდი არეულობაა, კეზერაშვილთან გახშირებული ვიზიტებიც ამით არის გამოწვეული, რამენაირად მოახდინონ ამ სიტუაციის ან განმუხტვა, ან დაბალანსება, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა.**

**„ვიცით, რომ ამ ფულის წყარო არის საქართველოს ბიუჯეტის ნაძარცვი ფულიდან და ევროპული პენსიონერების ნაძარცვი ფული. რა თქმა უნდა, ამაზე ევროპა არ რეაგირებს, რადგან ტანდემშია მათი და კეზერაშვილის დაფინანსება რადიკალური ოპოზიციის მიზნებთან. გამომდინარე აქედან, ამ თოჯინებით მანიპულირებენ, ხან ერთს დანიშნავენ ერთ ადგილზე, ხან – მეორეს. ზოგადად, შიდა დიდი არეულობა არის „ნაციონალურ მოძრაობაში“, რადგან ძველი „ნაციონალური მოძრაობა“ და გაყოფილი ე.წ. ახლები, ერთი და იგივე ელექტორატის გარშემო იბრძვიან, ამიტომ კეზერაშვილთან გახშირებული ვიზიტებიც ამით არის გამოწვეული, რამენაირად მოახდინონ ამ სიტუაციის ან განმუხტვა, ან დაბალანსება. ეს არის შინაარსი და დანარჩენს, პერსონალურად, ერთი სად იქნება და მეორე – სად, დიდი მნიშვნელობა არ აქვს“!**

## ◎ პარიზი — 2024

# ფრანგული კონტრასტები



**ზუსტად ერთი საუკუნე ელოდა სიყვარულის ქალაქი თანამედროვეობის 33-ე ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მოპოვებას (პირველად — 1900 წელს, მეორედ — 1924 წელს) და, ბოლოსდაბოლოს, მიზანსაც მიაღწია — პარიზის თამაშები გრანდიოზული 4-საათიანი მარათონით გაიხსნა და მომავალი ფორუმის ორგანიზატორ კალიფორნიულ ლოს-ანჯელესს დიდი გამოცანა გადასცა ესტაფეტასავით — რამდენად შესაძლებელია უკეთესი ცერემონიალით შეეგებოს სტუმრებს. ალბათ, ზოგადად ამერიკის შეერთებული შტატებისა და, კონკრეტულად, ჰოლივუდის სამკვიდროსაგან არაფერი გაგვიკვირდება, მაგრამ მაინც...**

**აქამდე კაცობრიობა, სხვა შედევრებთან ერთად, სამართლიანად ამაყობს გენიალური შტრაუსის უკვდავი „ვენის ტყის ზღაპრით“ აჟღერებული ჰანგებით, პარიზის მდინარე სენას ნაპირებზე შექმნილი თანამედროვე უნივერსალური ქმნილება კი უკვე მომავალ გენიოსთათვის იქცევა შთაგონების წყაროდ.**

**დიახ, ლედი გაგათი დაწყებული და სელინ დიონით დასრულებული ეპიკური შოუ ზინედინ ზიდანით მთავარ როლში და ასეულობით პერსონაჟით ზუსტად ასახავს ეპოქის მაჯისცემას, სადაც საკადრისი პატივი აქვს მიგებული როგორც ფრანგულ ისტორიას, ისე მის სამაგალითო თუ, ესეც აუცილებლად სათქმელია, მანკიერ ტრადიციებს, თუმცა ხომ აქსიომაა, რომ როგორც ყველა თაობას, ჩვენი დროის რეალობასაც წინამორბედთაგან მემკვიდრეობით გადმოეცა მავნე გადმონაშთები...**



**სხვათა შორის, შედარებით მცირე მასშტაბით, აღნიშნული კანონზომიერება ქართული დელეგაციის სასტარტო თავგადასავალმაც დაადასტურა, სადაც კუთვნილი ადგილი პიროვნული ტრაგედიებისა და ადამიანური ფაქტორის, კერძოდ — სავალალო მსაჯობით ჩამწარებული ზეიმისთვისაც მოიძებნა, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი სხვებს გადავაბრალოთ და თვალი დავხუჭოთ საკუთარ დაუდევრობასა თუ შეცდომებზე.**

ვიდრე ოლიმპიურ სარბიელზე განვითარებულ საინფარქტო მოვლენებზე გადავალთ, ვალდებულნი ვართ ორიოდე სიტყვით თამაშების წინ, უკვე მერამდენედ, სასურველის ნამდვილ სურათად შემოთავაზების (იქნებ — შემოსაღების?) დამღუპველ ტენდენციაზე ვისაუბროთ, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სავსებით ლოგიკურ, ისედაც ჩვეულებრივ ფსიქოლოგიურ ვითარებას.

მართლაც, ხშირად იმის მოსმენა, რომ ამჯერად ყველა დროის უძლიერესი ძიუდოისტთა ნაკრები გვყავს და თითოეული ჯვაროსანი ტიტულის პრეტენდენტია, უპირველესად, თვით ბიჭებს უწევს დათვურ სამსახურს და საბოლოოდ, უარყოფითად მოქმედებს ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად სამართლიანად მიჩნეული გუნდის მონაგარზე.

მსოფლიოს მოქმედი 21 წლის ჩემპიონის **გიორგი სარდალაშვილის** შემთხვევა ამის კლასიკური გამოვლინებაა. ჯერ ერთი, რატომღაც ყველამ დავივიწყეთ, რომ უნიჭიერესი ყმაწვილი სანუკვარ ოქროს ფრანგულ ფორუმამდე რამდენიმე თვით ადრე დაეუფლა, როცა მის ძირითად კონკურენტთა ნაწილმა გასაგები მიზეზების გამო სამუნდიალე ტატამზე გასვლასა და შესაძლო ტრავმების მიღებას დასვენება ამჯობინა.

არანაკლებ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თურქ და ესპანელ მეტოქეებთან წაგებულ ბრძოლებში ჩვენმა მწვრთნელებმა კოლეგებთან, გამორჩეულად — **ირაკლი უზნაძესთან** ტაქტიკური დუელებიც დათმეს და მათმა უდავოდ პერსპექტიულმა შეგირდმა ერთი ილეთიც კი ვერ შეასრულა. რა თქმა უნდა, არც მის გამოუცდელობასა თუ წერილის დასაწყისში ნახსენებ სამსაჯო ვერაგობებს გამოვრიცხავთ, მაგრამ მომავალ იმედგაცრუებათაგან პრევენციის მიზნით, ვფიქრობთ, უმჯობესია უკვე გაცვეთილ ფირფიტას ნაკლები ყურადღება დავუთმოთ და საკუთარ ლაფსუსებზე გავაკეთოთ აქცენტი.

გამოუცდელობას ნამდვილად არ უჩივის ჩვენი სასიქადულო მოფარიკავე **სანდრო ბაზაძე,** რომელსაც დღეს დაბადების 31-ე წელს ვულოცავთ, მაგრამ მისი მე-3 ოლიმპიადა ზედიზედ მეორედ ბასრი ხმლისგან განსხვავებული კრიმინალურთან მიახლოებული გარემოებით დასრულდა. სამწუხაროდ, როგორც ტოკიოში, სენის ნაპირებზეც ძველმა სენმა იჩინა თავი, თუმცა იმასაც შეგუებულნი უნდა ვიყოთ, რომ სპორტის ნამდვილად რომანტიკულ სახეობაში ჩხვლეტების ტაბლოზე სათანადოდ წარმოჩენა, თვით მოწინავე ტექნოლოგიების შემწეობითაც კი, ურთულესი საქმეა და არაობიექტურობისა თუ მიკერძოების გარდა, უბრალოდ, ადამიანურ ნიუანსებსაც გულისხმობს — შეუმცდარი ხომ არავინ ვართ.

ამავე დროს, ნურც მექსიკელ და ეგვიპტელ მეტოქეებთან მოულოდნელად შეუფერებლად დაწყებულ შეხვედრებს მივაჩუმათებთ — ჯერ 0:3, ხოლო შემდეგ — სულაც 0:6(!) და 2:8. მართალია, აცტეკების შთამომავალთან უპრობლემოდ მოხერხდა ღირსების შანარჩუნება — 15:6, მაგრამ ფარაონების მემკვიდრესთან ურემი მაინც გადაბრუნდა მაშინ, როცა თითქოს მასთანაც მოხდა გარდატეხა — 11:10 და 14:13.

არადა, სანდროს მთავარი მეტოქე — უნგრელი სილაგი სენსაციურად დამარცხდა კანადელთან და ბაზაძეს დიდი სატიტულო შანსი მიეცა...

და კიდევ: ჩვენი წამყვანი მუშკეტერი მეორე სეზონია ორლეანში გადასახლდა და **კრისტიან ბაუერთან** ვარჯიშობს, ასე რომ, გარკვეულწილად, საკუთარ კედლებში უტევდა ოლიმპს. მისგან განსხვავებით, აღნიშნული უპირატესობით მაქსიმალურად ისარგებლა საფრანგეთის სახელით მოჭიდავე **ლუკა მხეიძემ,** რომელიც 60 კგ ძიუდოისტთა ტურნირის ფინალში გავიდა და ტოკიოს ბრინჯაოს პარიზის ვერცხლი დაუმატა.

დასასრულს, მე-10(!) ოლიმპიადის მონაწილე რეკორდსმენი მანდილოსნის **ნინო სალუქვაძის** ასპარეზობაზეც შევჩერდეთ, რომელმაც, მართალია, 10 მეტრიდან ტყვიის სროლის კვალიფიკაცია 38-ე პოზიციაზე დაამთავრა და ფინალში ვერ მოხვდა, მაგრამ სასაყვედუროდ ენა როგორ მოგიბრუნდება კაცს — ლეგენდა ხომ მარადიულია!

გუშინ ძიუდოისტთა ტურნირზე კიდევ ერთი მჭლე დღე გვქონდა — ტოკიოს ფინალისტი **ვაჟა მარგველაშვილი** პირველივე ბრძოლაში უშანსოდ დამარცხდა ტატამის მასპინძელ ვალიდ ხიართან (66 კგ) და უმედლოდ დარჩა.

## ◎ ლეგიონერები

# ყველა ისურვებდა

**შესანიშნავი დებიუტით აღნიშნა სენტ ეტიენში საბრძოლო ნათლობა ზურიკო დავითაშვილმა, რომელიც ვილიარეალთან წინასასეზონო სპარინგში მინდორზე მეორე ტაიმში შეუშვეს და დუბლით გამოირჩა, რასაც ერთი ასისტი დაუმატა.**

მწვანეები საფრანგეთის ჩემპიონატის სტარტამდე კიდევ 3 საწვრთნელ მატჩს გამართავენ — 31 ივლისს მონპელიესთან, 3 აგვისტოს გრენობლთან და 7 აგვისტოს ხეტაფესთან, ლიგა — 1-ის სტარტზე კი 18 აგვისტოს მონაკოს ეწვევიან.

არანაკლებ შთამბეჭდავი თამაში ჩაატარა **ლუკა გაგნიძემ** მოსკოვურ დერბიში ლოკომოტივთან, რომელშიც ანგარიში შორეული ცაციათი გასროლით მე-12 წუთზე გახსნა. მისმა გუნდმა კი საბოლოოდ 3:1 მოიგო და 2 ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერობს რუსეთის ჩემპიონატს ზენიტთან ერთად.



# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანასტასია ივანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. №9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15 (საკადასტრო კოდი: 01.16.02.024.031)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 47479.79 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 29 ივლისი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 12 აგვისტო, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP100800024;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1008000

**6. მოვალე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. №9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP100800024; ლოტის ნომერი: 1008000).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 აგვისტოს 12:00 საათამდე.

---

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნიკა მოდებაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნიკა მოდებაძე (პ/ნ 45001025292), ყვარელი, ს. ჭიკაანი, მე-11 ქ. №38

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ყვარელი, ს. ჭიკაანი, მიწა „ნაოტრები“ (საკადასტრო კოდი: 57.03.53.000.244)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 25759.25 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 29 ივლისი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 12 აგვისტოს, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP100800124;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1008001

**6. მოვალე:** ნიკა მოდებაძე (პ/ნ 45001025292), ყვარელი, ს. ჭიკაანი, მე-11 ქ. №38.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP100800124; ლოტის ნომერი: 1008001).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 აგვისტოს 12:00 საათამდე.

---

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლევან ჯაფარიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
გურჯაანი, ს. ჭანდარი, „ჩალები“ (საკადასტრო კოდი: 51.11.58.305)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 37048.08 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 29 ივლისი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 12 აგვისტო, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP100800224;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1008002

**6. მოვალე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56;
დავით ჯაფარიძე (პ/ნ 13001034044), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP100800224; ლოტის ნომერი: 1008002).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 აგვისტოს 12:00 საათამდე.

---

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **სს “რეალ ინვესტის” მიერ ქ. თბილისში, სოფ. შინდისის ტერიტორიაზე 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 12 აგვისტო, 12:00 საათი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, მთაწმინდის რაიონის გამგეობის წავკისი, შინდისი, ტაბახმელას საუბნო სამსახურის შენობა (მის.: ტაბახმელა, თბილისი-კოჯრის გზატკეცილი N49)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 23 ივლისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.




## საჩხერეში 18 წლის ბიჭი მოკლეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 2006 წელს დაბადებული ნ.შ. დააკავეს.**

შსს-ს ცნობით, დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა საჩხერის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 2006 წელს დაბადებული გ.მ. ცივი იარაღით დაჭრა. დაჭრილი ახალგაზრდა საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

„ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს," – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ცაგერში ძმამ ძმა სასიკვდილოდ გაიმეტა




**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ცაგერის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული წარსულში ნასამართლევი ბ.ს. ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.**

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ცაგერის მუნიციპალიტეტში ძმას – 1988 წელს დაბადებულ ვ.ს.-ს ნაჯახის გამოყენებით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად ვ.ს. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბრალდებული ბ.ს. ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – ნაჯახი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „კ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

## ლალისყურში ორი კაცის მკვლელი დააკავეს

**კახეთის პოლიციამ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით 1 პირი დააკავა.**

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული თ.წ. ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 24 ივლისს თელავის რაიონის სოფელ ლალისყურში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს, ბრალდებულმა თ.წ.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა 1995 წელს დაბადებულ ა.გ-ს და 1972 წელს დაბადებულ კ.ზ.-ს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად თ.წ. დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს."

## განცხადება

### საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა – **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მდ. ფარავანზე 4.4 მგვტ. სიმძლავრის „არაკალი ჰესის" მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 9 აგვისტო, 15:00 საათი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი არაქალის კულტურის სახლის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 18 ივლისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

## არდავიწყება

## ომარ კაკაურიძე



**საქართველოს მეგზეევთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის დამსახურებული მუშაკი, მაღალი რანგის პროფესიონალი, შესანიშნავი ადამიანი ომარ კაკაურიძე.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ომარ კაკაურიძე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის (53 წელი) განმავლობაში დაუღალავად და კეთილსინდისიერად მუშაობდა საგზაო დარგში და გაიარა გზა რიგითი გეოლოგიდან ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების" მთავარი გეოლოგის, გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობამდე.

მეგზეევთა საზოგადოება სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

**საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე თამაზ შილაკაძე**

---

**საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი – შპს „საქგზამეცნიერება"** ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების" მთავარი გეოლოგი, გენერალური დირექტორის მოადგილე

**ომარ კაკაურიძე**

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, სანათესაოს და სამეგობროს.

**პანაშვიდი: 29 ივლისს, 16-00 სთ-ზე. დაკრძალვა 30 ივლისს, 14 სთ-ზე.**
**მისამართი: გლდანი, მე-5 მიკრორაიონი, X კორპუსი, IV სადარბაზო, მე-3 სართული.**
**გამოსვენება 30 ივლისს, 14 -00 სთ-ზე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან, ჩარგლის ქუჩა #34, სანზონა, მეტროსადგურ „ღრმაღელის" უკან.**
**პანაშვიდი ეკლესიაში: 12-00-დან 14-00 სთ-მდე.**

## სანთელი

უახლოესი მეგობრები – **ნათელა ვასაძე, მადონა მგელაძე, ნათელა ლადიძე, ლამარა გაგუა, ქეთევან გურგენიძე, მანანა გოჩალეიშვილი** სამძიმარს უცხადებენ **ლია ლომიძეს** შვილის

**ლაშა ხეთაგურის**

გარდაცვალების გამო.

---

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია** ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უკეთილშობილეს ქალბატონს ლია ლომიძეს გარდაეცვალა ვაჟიშვილი

**ლაშა (ბაჩო) ხეთაგური**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ხსოვნა

## გურამ კოსტავას გახსენება!

**40 დღე გავიდა გურამ კოსტავას გარდაცვალებიდან...** მე და გივი ცაგარელი დავრჩით შენი თანატოლები (1937 წელს დაბადებულები) იმ ბრწყინვალე ფარიკაობის ნაკრებიდან, სადაც შენ იყავი პირველი ვარსკვლავი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

**იური ოსიპოვი, გივი ცაგარელი**

## დააკავეს ბავშვზე სექსუალურად მოძალადე მამაკაცი

**მცირეწლოვან ბავშვზე სექსუალური ძალადობისთვის შუახნის მამაკაცია დაკავებული.**

7 წლის ბავშვის დედა ყვება, თუ როგორ იძალადა 43 წლის მამაკაცმა მის არასრულწლოვან შვილზე. ქალი თბილისის ერთ-ერთ უბანში სავაჭრო ცენტრში მუშაობს. იმ დღეს სამსახურში თან ახლდა შვილიც, რომელიც უცხო მამაკაცის მხრიდან გარყვნილი ქმედების მსხვერპლი გახდა.

მომხდარის შესახებ ბავშვმა დედას უამბო, რის შემდეგაც საქმეში პოლიცია ჩაერთო. სამართალდამცველები დამნაშავის კვალზე კამერის ჩანაწერებით გავიდნენ. ირკვევა, რომ მამაკაცი არასრულწლოვანს უთვალთვალებდა, სარდაფში კი ზუსტად იმ მომენტში ჩაიტყუა, როცა ბავშვი დედისგან მოშორებით თამაშობდა.

## ბრინჯის სანაცვლოდ – 4 ტონა კოკაინი

**ესპანეთის პოლიციამ ბრინჯის ტომრებში დამალული ოთხი ტონა კოკაინი აღმოაჩინა.**

გაუვნებლებულია დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელიც ესპანეთში, გაერთიანებულ სამეფოსა და პარაგვაიში მოქმედებდა.

სამართალდამცველების ინფორმაციით, კონტრაბანდით დატვირთული კონტეინერები ბარსელონის პორტში მიმდინარე წლის დასაწყისში ჩავიდა, თუმცა კოკაინის პარტია ივლისში, კონტეინერების ტრანსპორტირების დროს ტოლედოში აღმოაჩინეს.

ესპანეთის პოლიციის პრესსამსახურის განცხადებით, გამოძიების ფარგლებში ესპანეთში რვა პირია დაკავებული, ორი კი – პარაგვაიში.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკი ევროპაში პარაგვაიდან იგზავნებოდა.

# „დამცინავი“ ოლიმპიადის ჩრდილები





## „ეს უკიდურესად უპატივცემულო იყო ქრისტიანების მიმართ“!

**ილონ მასკი პარიზის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიას აკრიტიკებს.**

„სფეის იქსის“ დამფუძნებელი სოციალურ ქსელ X-ზე წერს, რომ „ეს უკიდურესად უპატივცემულო იყო ქრისტიანების მიმართ“.

* * *

**ამერიკული** სატელეკომუნიკაციო კომპანია **C Spire**, 2024 წლის პარიზის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიას ეხმაურება. როგორც კომპანიის განცხადებაშია აღნიშნული, საიდუმლო სერობის დაცინვის გამო, ისინი ოლიმპიური თამაშებიდან თავიანთ რეკლამას მოხსნიან. “პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე საიდუმლო სერობის დაცინვით შოკირებული ვიყავით. **C Spire** მოხსნის რეკლამას ოლიმპიური თამაშებიდან,“ – აღნიშნულია კომპანიის მიერ X-ზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

* * *

**პარიზის 2024 წლის** გახსნის ცერემონიის ოფიციალური ვიდეო, როგორც ჩანს, წაშლილია ოლიმპიადის ანგარიშიდან, რადგან მაყურებელთა უარყოფითი გამოხმაურება იზრდება. ამის შესახებ ბრიტანული გამოცემა **Dailymail** წერს.

როგორც გამოცემა იტყობინება, სოციალური მედიის მომხმარებლებმა გაავრცელეს ორგანიზაციის კადრების ე.წ. სკრინშოტი, სადაც ნაჩვენებია ცარიელი ეკრანი წარწერით “ეს ვიდეო არ არის ხელმისაწვდომი“. ამავდროულად, შოუ ასევე არ ჩანს ოლიმპიადის **YouTube** არხზე – მიუხედავად იმისა, რომ თამაშები შუქდებოდა როგორც ცერემონიამდე, ასევე მის შემდეგ.

# ვანგას 10 რჩევა წარმატების მოსაზიდად



**ცნობილი ბულგარელი ნათელმხილველი ვანგა მსოფლიოს მასშტაბით აკვირვებდა ხალხს საკუთარი ნიჭითა და შესაძლებლობებით, მაგრამ ბევრმა არ იცის, ალბათ, რომ ვანგას ჰქონდა საკუთარი წესები, რომლებიც ფულისა და ბარაქის სახლში მოზიდვას უკავშირდება.**

1. თუკი გსურთ, რომ სახლში ბარაქამ დაისადგუროს და ავი თვალისგან დაიცვათ ოჯახი, კარის ზღურბლზე ანწლის რტოებისგან გაკეთებული ჯვარი ჩამოჰკიდეთ.

2. დილით საწოლიდან ადგომისას არასოდეს ჩაიცვათ ჯერ ერთი ფეხსაცმელი და მერე მეორე. აუცილებელია ორივე მონახოთ და ჩაიცვათ ერთდროულად, თუკი გსურთ, რომ დღე წარმატებული იყოს.

3. სახლში ფულის მოსაზიდად შეინახეთ მონეტები და სხვადასხვა ქვეყნის ფულის კუპიურები. თუმცა, სასურველია, თუკი მონეტები ვერცხლისფერი იქნება.

4. თუკი გსურთ, რომ თქვენს ცხოვრებაში ახალი, ნათელი პერიოდი დაიწყოს, ახალმთვარეობას ავეჯი გადააადგილეთ სახლში.

5. არასოდეს დატოვოთ მაგიდაზე პურის ბოლომდე შეუჭმელი ნაჭრები, მით უმეტეს, არასოდეს გადაყაროთ ისინი. ასე თქვენი ცხოვრებიდან ბარაქა და ფული წავა. აჯობებს, ძველი პურით ჩიტებს გაუმასპინძლდეთ.

6. თუკი გსურთ, რომ მთელი წელი ფინანსურად უზრუნველყოფილი გქონდეთ, ახალი წლის ღამეს, ზუსტად თორმეტზე, გადათვალეთ საფულეში არსებული მსხვილი კუპიურები.

7. თუკი ფინანსური პრობლემები გაქვთ, ხალიჩის ქვეშ ერთი კვირით გააჩერეთ ხავსი, პრობლემები გამოგისწორდებათ.

8. მზის ჩასვლის შემდეგ ფული არც ისესხოთ, არც გაასესხოთ.

9. როცა პურს ან ფუნთუშეულს აცხობთ სახლში, ცომის მოზელის შემდგომ არავითარ შემთხვევაში არ იჩხუბოთ შინაურებთან. ასე სახლიდან ბარაქა წავა.

10. თუკი სიღარიბეს გინდათ დააღწიოთ თავი, საფულით მწვანე კვარცის ნატეხი ატარეთ ხოლმე.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი** - 2.7087; **ევრო** - 2.9406;
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი** - 3.4864;
**100 რუბლი** - 3.1634; **თურქული ლირა** - 0.0820;
**აზერბაიჯანული მანათი** - 1.5927;
**1000 სომხური დრამი** - 6.9543.

# უცხოეთშიც ქართულ საქმეს აკეთებდა

### შოუის ტრაგედიის დროს დაღუპული ზაზა მესხის არქივი ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის დარბაზში დაიდებს ბინას



**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები ნიდერლანდებში ზაზა მესხის ყოფილ მეუღლეს ესტუმრნენ. შოვის ტრაგედიის დროს დაღუპული ზაზა მესხის არქივი მალე ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის დარბაზში დაიდებს ბინას.**

ნიდერლანდებში ვიზიტის შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი წერს:

„ზაზა მესხი – ნიდერლანდებში მცხოვრები ჩვენი საქართველოს შვილი – შოვის ტრაგედიას რომ შეეწირა, თავის მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად! მისი არქივი ყოფილი მეუღლისაგან ცინტა დეფონტისგან მივიღე და ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის მუზეუმს ჩაბარდება. ამ ახალგაზრდა კაცს, უკაცრავად, ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწეს, რამდენი უღვაწია, ემიგრაციაში პერიოდული გამოცემაც დაუარსებია, მის გარშემო გაუერთიანებია ახალი ემიგრაციის რჩეული პირნი, ძველნიც არ დავიწყებია. მისმა ყოფილმა მეუღლემ, ქალბატონმა ცინტამ, ბრწყინვალე ქართულით მოლაპარაკემ, სევდიანი თვალებით გამოგვაცილა, ზაზა მესხის არქივის წამოსაღებად უტრეხტში რომ ვეწვიეთ. ჟურნალ „თანამემამულეს“ ყველა ნომერი – ჩაწიკწიკებული კოლექცია, მიუნხენის, თესალონიკის, პარიზის, სტამბოლის ქართული გამოცემები, მიმოწერა, ფოტოარქივი და დიდი ტკივილი იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთ დღეში კაცს ყველაფერი დაენგრეს. თუმცა ბატონი ზაზას მიერ თავისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში დარგული სიკეთეები, კეთილშობილური საქმეები შეიძლება უფრო მოსავლიანი იყოს, ვიდრე არაერთის მოხუცებულობამდე მიტანილი ცხოვრება“...

# შავი ზღვის ჯაზფესტივალი ბათუმში




**ბათუმში შავი ზღვის ჯაზფესტივალი მიმდინარეობს. ფესტივალში მსოფლიოს წამყვანი ჯაზშემსრულებლები მონაწილეობენ.**

მე-17 ჯაზფესტივალს ტრადიციულად ბათუმის კორტები მასპინძლობს. სამდღიანი ფესტივალი 11 გრემის ჯილდოს მფლობელი მუსიკოსის ფილიპ ლასიტერის კონცერტით გაიხსნა. ორი საათის განმავლობაში მსმენელს შესაძლებლობა ჰქონდა, სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური კომპოზიციები მოესმინა. ფესტივალში მონაწილეობს ასევე ვირტუოზი შვეიცარიელი დრამერი ჯოჯო მაიერი.

# უსმინეთ ზაქარია ფალიაშვილის ღვთაებრივ ჰანგებს!

**1 აგვისტოს მუზეუმების გაერთიანება – ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ზაქარია ფალიაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებაზე, შემოქმედებასა და მისი ოპერების საერთაშორისო მნიშვნელობაზე ისაუბრებენ მუსიკისმცოდნე გვანცა ღვინჯილია, ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი დავით ცინცაძე და რეჟისორი გოჩა კაპანაძე.

ღონისძიებაზე ფოლკლორული ანსამბლი „სახიობა“ ქართული საგალობლების ფალიაშვილისეულ ვერსიებს შეასრულებს.



საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 1 აგვისტოს**